საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 23
(11 582)

26 – 28 მარტი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „ბორჯღალოსნები": სრული სვლით წინ, დაუმარცხებლად!



კვირას გაიმართა რაგბიში ევროპის ერთა თასის მიმდინარე გათამაშების ბოლოსწინა ტური. ქართველი მორაგბეები მეტად პრინციპულ მატჩში სტუმრად, – მადრიდში ეთამაშებოდნენ ესპანეთის ნაკრებს. უნდა ითქვას, რომ ამ შეხვედრას, ცოტა არ იყოს, ჩვენები ისეთივე რიხით ვერ ხვდებოდნენ, როგორც წინა მატჩების დროს, – დამაფიქრებელი იყო პორტუგალიელებთან და რუსებთან გამართულ შეხვედრებში დაშვებული შეცდომები. საქართველოს ნაკრების თავკაცი კლოდ სორელი დარწმუნებული იყო, რომ მისი შეგირდები ესპანელებსაც დაამარცხებდნენ, თუმცა საკუთარ თავს დამშვიდების უფლებას მაინც არ აძლევდა. მით უმეტეს, რომ თამაშს სტუმრად ატარებდნენ და ესპანელებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში საგრძნობლად აიმაღლეს თამაშის კლასი.

ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრები საკმაოდ მობილიზებული გამოვიდა მადრიდის უნივერსიტეტის სტუდქალაქის სტადიონზე და პირველივე წუთიდან შეუტია მასპინძელთა გუნდს. მონდომებამ შედეგი უკვე მესამე წუთზევე გამოიღო: კაცაძემ ესპანელთა დაცვის ხაზი გაარღვია და ბურთი გადასცა ზიბზიბაძეს, რომელმაც პირველი ლელო გაიტანა. ამას ჯიმშელიძის გარდასახვაც მოჰყვა და საქართველოს ნაკრები დაწინაურდა – 7-0. ხუთ წუთში ესპანელებმა ორ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, თუმცა ქართველებმა იმძლავრეს და პირველი ტაიმის ბოლომდე კიდევ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს.

მატჩის გადამწყვეტი მომენტი მეორე ტაიმის დასაწყისში დადგა, როცა მასპინძლებმა ოთხ ქულამდე შეამცირეს ანგარიშში სხვაობა – 13:17. ამას დაემატა ისიც, რომ მოედნიდან ათი წუთით გააძევეს მთიულიშვილი.

ამის მიუხედავად, „ბორჯღალოსნებმა" მაინც იყოჩაღეს და ხამაშურიძემ დიდებული სოლო რეიდის შემდეგ ბურთი ესპანელთა ჩათვლის მოედანზე დაამიწა. 72-ე წუთზე კაცაძემ გამოიჩინა თავი და სტუმრები უკვე 14 ქულით დაწინაურდნენ – 27:13.

ესპანეთის ნაკრებმა, იგრძნო რა დამარცხების საფრთხე, მთელი გუნდით შეუტია სტუმართა ნახევარს, თუმცა მხო-

იხ. მე-2 გვ.



ლივერპული – ჩელსი

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

5



ინტერი – რომა

**პრესკონფერენცია** ბელორუსული შეხვედრით მერაბ ჟორდანია კმაყოფილია ● სფფ ფიფასა და უეფას ჯილდოებზე დავით ყიფიანსა და ალექსანდრე ჩივაძეს წარადგენს ● მეორე ეტაპზე „ტორპედოს", „მერანისა" და „კოლხეთის" მატჩებს სპეციალური კომისიის წევრები დაესწრებიან



სწორედ სათაურში მოყვანილ საკითხებს შეეხო სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. ჟურნალისტებთან საუბარი, ეროვნული ჩემპიონატის საეჭვო მატჩების თემით დაიწყო.

— „ტორპედოს", „მერანისა" და „კოლხეთის" — ამ სამი კლუბის საეჭვო გარიგებებზე, რის შესახებ მიმდინარეობს ლაპარაკი, სფფ-ში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომლის მუშაობაში ჟურნალისტებიც მიიღებენ მონაწილეობას. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოო და უპირობო იქნება".

— „მინსკში სერიოზული შეკრება იყო. წარმოდგენილი იყვნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტები და გენერალური მდივნები. შეკრებებს დაესწრო უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი და ფიფას პროგრამა „გოლის" ხელმძღვანელები. სხდომებზე განიხილეს უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს მიერ გაწეული მუშაობა, იმსჯელეს, თუ რა პროექტები განხორციელდა ბიუროს მიერ. მოგეხსენებათ, უეფა მოქმედებს სოლიდარობის პრინციპით, თანხების მოზიდვა ხდება თითზე ჩამოსათვლელი ფედერაციების მიერ და ისე გამოდის, რომ გერმანიის, ესპანეთის, საფრანგეთისა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციებიდან შემოსული თანხებით ცხოვრობს უეფას დანარჩენი ფედერაციები. სწორედ ჩამო-

იხ. მე-3 გვ.

**კალათბურთი** ● **ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**

*I-VI, 23 მარტი*

მაკაბი — აზოტი 77 :)
თსუ დინამო 66-90
სტუ-გეო — ბასკო 66-94

*24 მარტი*

მაკაბი — ბასკო 105-82
თსუ — სტუ ჯეოს 84-79
დინამო — აზოტი 76-86

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ბასკო** | 20 | 18 | 2 | 38 |
| **დინამო** | 20 | 14 | 6 | 34 |
| **აზოტი** | 20 | 13 | 7 | 33 |
| **სტუ** | 20 | 12 | 8 | 32 |
| **თსუ** | 20 | 11 | 9 | 31 |
| **მაკაბი** | 20 | 10 | 10 | 30 |



დინამო – თსუ

*VII-XII, 21 მარტი*

მაკაბი2 — სსსუ 71-58
ქუთაისი — კალ. აკადემია 86-84
შევარდენი — სსუ 52-62

*22 მარტი*

სსუ — ქუთაისი 71-83
კალ. აკადემია — მაკაბი2 89-66
სსსუ — შევარდენი 66-72.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ქუთაისი** | 4 | 4 | 0 | 8 |
| **სსუ** | 4 | 3 | 1 | 7 |
| **შევარდენი** | 4 | 3 | 1 | 7 |
| **კალ. აკად.** | 4 | 1 | 3 | 5 |
| **მაკაბი2** | 4 | 1 | 3 | 5 |
| **სსსუ** | 4 | 0 | 4 | 4 |

## ნბა



NBA

საკრამენტო – ლეიკერსი

6

*საქართველო — სამხრეთ აფრიკა*

## ორი დებიუტანტი და პირველი რეპეტიცია



ხვალ, 15 საათზე ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონზე საქართველოს ეროვნული ნაკრები წლეულს პირველად წარსდგება გულშემატკივართა წინაშე. ალექსანდრე ჩივაძემ დაპირებისამებრ ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებისთანავე გამოაცხადა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც სამხრეთაფრიკელებს დაუპირისპირდება. სხვადასხვა მიზეზით გუნდს გამოაკლდებიან შოთა და არჩილ არველაძეები, გიორგი ნემსაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან ცქიტიშვილი და მიხეილ ყაველაშვილი. სათუოა გიორგი ქინქლაძისა და კახი კალაძის თამაში. მოხმობილ ფეხბურთელთა სია ასეთია. *მეკარეები:* დავით გვარამაძე (დინამო თბ), გია ჭანტურია (დინამო ბთ); *მცველები:* გიორგი შაშიაშვილი, ალექსა-

იხ. მე-3 გვ.

## ბატუტისტები ტრადიციას აგრძელებენ

ბატუტზე ხტომაში ქართული სკოლა მთელს მსოფლიოშია აღიარებული, ჩამოსათვლელად კმარა თუნდაც ჯერ კიდევ მოქმედი სპორტსმენები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები: რუსუდან ხოფერია, ანა დოღონაძე, ზაზა აბრამიშვილი, ლია ბენდიანიშვილი... დღეს არც სპორტს ულხინს, მაგრამ მწვრთნელ-აღსაზრდელთა თავდადებული შრომა თავის ნაყოფს მაინც იძლევა. გერმანიის ქ. აახენში ამ დღეებში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი „გრენზლანდის თასი", სადაც 35 ქვეყნის 245 ბატუტისტი მონაწილეობდა ასაკობრივ ჯგუფებში. საქართველოდან ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის (დირექტორი რ. ბერიკაშვილი) აღსაზრდელები – მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი 11 წლის ლუბა გოლოვინა თავის მწვრთნელთან ვალერი ჩხაბერიძესთან, და 14 წლის თენგიზ კოშკაძე („მართვე") ზაურ სულაშვილთან ერთად (რომელმაც იმსაჯა კიდეც) იყვნენ მიწვეულნი.

11-15 წლიან გოგონათა შორის პირველი ადგილი – 95.60 ქულით და „გრენზლანდის თასი" დაისაკუთრა ლუბა გოლოვინამ, ხოლო 14-18 წლიან ვაჟებში – 99,40 ქულით მეორეჯერ მოიპოვა „გრენზლანდის თასი" თენგიზ კოშკაძემ. ტურნირში მონაწილე მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს შორის სპეციალისტების მიერ განსაკუთრებით აღინიშნა ქართული სკოლის სიძლიერე და ტრადიცია.

მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსის და-

იხ. მე-2 გვ.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 5 თვე დარჩა

torino 2006

## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 11 თვე გვაშორებს

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# „მთა–2002“: საერთაშორისო შეხვედრა

გაეროს მიერ მთის საერთაშორისო წელიწადად გამოცხადებული 2002 წლის აღსანიშნავ ღონისძიებებს მთელი მსოფლიო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ამ თარიღთან დაკავშირებით საგანგებოდ შექმნილი ეროვნული კომიტეტები აწყობენ პლენარულ სხდომებს, საერთაშორისო კონფერენციებს, შეხვედრებს, სიმპოზიუმებს და სხვა.

მთელმა მსოფლიომ ერთხმად აღიარა, რომ მთის პრობლემები გლობალური ხასიათისაა და, ამიტომაც, მათი გადაწყვეტა მთელი კაცობრიობის ვალია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიის 2/3 მთას უჭირავს, დღემდე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამ მოვლენის აღსანიშნავად არ შექმნილა არც სამთავრობო კომიტეტი, არც სხვა საუწყებო საორგანიზაციო კომიტეტი და არც რაიმე ამის მაგვარიც კი, რაც მეტად დასანანი და სამარცხვინოა.

2001 წლის დეკემბერში, მთის პრობლემებთან უშუალო შეხებაში მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებსაც



გათავისებული აქვთ მთის გასაჭირი, დააფუძნეს ასეთი კომიტეტი 10 კაცის შემადგენლობით და თავიანთ მოკრძალებულ შესაძლებლობათა ფარგლებში აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

16 მარტს საქართველოს მთამსვლელთა ეროვნულ ფედერაციას სტუმრად ეწვია იტალიელთა 11-კაციანი ჯგუფი, იტალიის ალპური კლუბის ყოფილი პრეზიდენტის სილვიო კალვის ხელმძღვანელობით და რუსეთის ფედერაციის ორი მთამსვლელი, რომლებმაც საქართველოს წარმომადგენლებთან წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესაბამისად ერთობლივი ღონისძიებები მიუძღვნეს მთის საერთაშორისო წელიწადს.

ამ შეხვედრაში ჩართულმა საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირმა (თავმჯდომარე ჯ. ხანთაძე), „საქართველოს მთამსვლელთა და მეკლდეურთა ასოციაციის“ (თავმჯდომარე ბ. ქაშაკაშვილი), სპორტკომპლექსმა „გუდაურმა“ (გენერალური დირექტორი ვ. მიქელაძე), ს/ს „გერგეთმა“ (თავმჯდომარე შ. ობგაიძე), გუდაურის ბავშვთა სათხილამურო კლუბმა (თავმჯდომარე ლ. ლორთქიფანიძე) და ფირმა „დობერამ“ (ხელმძღვანელი ვ. ტოგონიძე), მაღალემოციური განწყობით ჩაატარეს აღნიშნული ღონისძიება.

შეხვედრის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო გამოდგა: გაიმართა მრგვალი მაგიდა თბილისში თემაზე — „საერთაშორისო მთის წელიწადი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში“, რომელზეც იმსჯელეს მთის მსოფლიო და რეგიონალურ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის ხელშემწყობი ერთობლივი გზების ძიებაზე; გუდაურში ჩატარდა შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში, კერძოდ, გიგანტურ სლალომში. განხორციელდა ერთობლივი ასვლა მყინვარწვერზე და იქიდან თხილამურებით დაშვება ს. გერგეთამდე.

გიგანტურ სლალომში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა იტალიის წარმომადგენელმა ენრიკო რინალდიმ. ამის შემდეგ გაერთიანებული სპორტული ჯგუფი გაემგზავრა ყაზბეგში მყინვარწვერზე (5048 მ) იერიშის მისატანად. გამუდმებული უამინდობის მიუხედავად, 27-კაციანი ჯგუფი მაინც გავიდა მწვერვალის დასაპყრობად, მაგრამ საბოლოო მიზნამდე დარჩენილი 250 მ-ის გადალახვა შეუძლებელი აღმოჩნდა და მთამსვლელები იძულებულნი გახდნენ დაბრუნებულიყვნენ მეტეოსადგურში, რომელიც ზღვის დონიდან 3700 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. მეორე დღეს 5-კაციანი ჯგუფი (ორი ქართველი, ორი რუსი და ერთი იტალიელი სპორტსმენის შემადგენლობით), რომელსაც ხელმძღვანელობდა კვლავ ბ. ქაშაკაშვილი, საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელი, ხელმეორედ შეეცადა ისევ უამინდობაში მწვერვალზე გასვლას და ამჯერად ეს ცდა წარმატებით დამთავრდა. 21 მარტის 16 საათზე ჯგუფი მთელი შემადგენლობით მწვერვალზე ავიდა.

ეს გამარჯვება, როგორც სილვიო კალვიმ აღნიშნა, ყველაზე თანაბრად განაწილდა.

მთის საერთაშორისო წელიწადი — 2002 წელი ახლახან დაიწყო, წინ კიდევ ბევრი საინტერესო, საქმიანი შეხვედრაა მოსალოდნელი.

**ბიჭი ქართველიშვილი,**
საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის თავმჯდომარე.

# „ბორჯღალოსნები“: სრული სვლით წინ, დაუმარცხებლად!

*(პირველი გვერდიდან)*

ლოდ ერთი ლელოს (თავი გამოიჩინა სოუტომ) გატანა შეძლეს. მატჩს საბოლოო წერტილი დაუსვა ლაბაძემ, რომელმაც შერკინებიდან აღებული ბურთიანად მეტოქის დაცვა გაარღვია – 34:18.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ:

**ესპანეთი:** პაბლო გუტიერესი (ნოე მასიასი), მარკ ვენტურა, ფერან ველასკო, ალვარ ენსისო, ალბერტო როსიასი, ფერნანდო დიესი (ალფონს მარტინესი), ხერონიმო ერნანდოს-პილი, ხავიერ სალასარი, ფერნანდო დელაკალე, ხოსე იგნასიო საპაცერო, მიგელ აბრილი (როხერ რიპოლი), მარკო გარსია, ივან კრიადო – გარაჩანა, კარლოს სოუტო, სტივ ტუინეაუ.

**საქართველო:** ბესიკ ხამაშურიძე. ბადრი ხეხელაშვილი, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, კახა ალანია (გუჯა იოვაძე), პალიკო ჯიმშელაძე, შოთა მოდებაძე (ირაკლი



აბუსერიძე), მევლუდ მთიულიშვილი (ტარიელ რატიანიძე), აქვსენტი გიორგაძე, ლევან ცაბაძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე (კახა უჩავა), ვასილ კაცაძე, გია ლაბაძე, ილია ზედგინიძე (მამუკა მაგრაქველიძე).

24 მარტს კიდევ ორი მატჩი გაიმართა. გახსოვთ, ალბათ, საქართველო – რუსეთის მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ გაჩნდა ასეთი ვარიანტი: თუკი ქართველებიც და რუსებიც დარჩენილ შეხვედრებს მოიგებდნენ, შესაბამისად პირველ-მეორე ადგილებს დაეპატრონებოდნენ, რუმინეთის ნაკრები კი მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდებოდა. აქედან გამომდინარე „დათვებს“ კრასნოიარსკში აუცილებლად უნდა დაემარცხებინათ რუმინეთის ნაკრები. მართლაც პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები იგებდნენ – 10:9, მაგრამ მატჩის მეორე ნახევარში ტოფანის აქტიურობის შედეგად რუმინელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოო გამარჯვების მოპოვება – 27:22.

გუნდების შემადგენლობა. **რუსეთი:** დიმჩენკო, კუზინი, სიმონოვი, კობეინიკოვი, ბრეიტენბახი, რაჩკოვი, ბუდნიკოვი, შუკაილოვი, რომაკი, ტრავკინი, ფედჩენკო, სერგეევი, ფოლსხენკი, გრაჩოვი, ზიკოვი.

**რუმინეთი:** ბრეზოიანუ, ვიორიანე, პიკოიუ, გონტინიაკი, მაფტეი, ტოფანი, მიტუ, ბალანი, ტინკუ, დიმა, პეტრუ, კონსტანტინი, კოროდიანუ, მანტა, პეტრაკე.

პორტუგალიელმა მორაგბეებმა სტუმრად დაამარცხეს ჰოლანდიის ნაკრები – 27:11.

ხუთი ტურის შემდეგ
**სატურნირო მდგომარეობა:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ.სხ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 154:54 | 8 |
| საქართველო | 4 | 3 | 1 | 0 | 161:53 | 7 |
| რუსეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 142:74 | 5 |
| პორტუგალია | 4 | 2 | 0 | 2 | 80:92 | 4 |
| ესპანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 65:116 | 0 |
| ჰოლანდია | 4 | 0 | 0 | 4 | 24-237 | 0 |

ბოლო ორი გათამაშების ჯამური შედეგების მიხედვით სატურნირო ვითარებაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 9 | 8 | 1 | 0 | 328-121 | 17 |
| რუმინეთი | 9 | 8 | 0 | 1 | 349-125 | 16 |
| რუსეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 204:217 | 11 |
| პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | 157:257 | 6 |
| ესპანეთი | 9 | 2 | 0 | 7 | 183:244 | 4 |
| ჰოლანდია | 9 | 0 | 0 | 9 | 81:421 | 0 |

როგორც ხედავთ, ქართველი და რუმინელი მორაგბეები ტრადიციას არ ღალატობენ და ევროპის ერთა თასის გათამაშების ბოლო ტურში ამჯერადაც ერთგვარი ფინალი შედგება.

საქართველოს ნაკრებს ფრეც ჰყოფნის იმისათვის, რათა ორი გათამაშების ჯამში პირველი ადგილი დაიკავონ და მსოფლიოს თასის 2003 წლის გათამაშების ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად შედარებით იოლ ჯგუფში იბრძოლონ. თუმცა მხოლოდ გამარჯვებაა საჭირო, რათა „ბორჯღალოსნებმა“ წელსაც მოიპოვონ ევროპის ერთა თასი. ამის გაკეთება შეუძლებელი ნამდვილად არ არის, – შარშან ქართველებმა ხომ სტუმრად მოუგეს რუმინელებს, ხოლო წლევანდელი „ფინალი“ 6 აპრილს თბილისში ჩატარდება!

**თენგიზ ჩოგანიძე**

# ბატუტისტები ტრადიციას აგრძელებენ

*(პირველი გვერდიდან)*

ვით ჭელიძისა და მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსის ამირან ჯებისაშვილის დახმარება რომ არა, ჩვენი ბატუტის ამ ტურნირში ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას.

„ბატუტი ოლიმპიური სახეობაა და თუ სპორტსმენმა წლის განმავლობაში რამდენიმე შეჯიბრებაში ვერ მიიღო მონაწილეობა, ჩათვალეთ, რომ თვეების განმავლობაში გაწეული მუშაობა წყლის ნაყვაა. ოლიმპიური მედლები ხომ თავისთავად არ მოდის“ – აღნიშნა სკოლის დირექტორმა რ. ბერიკაშვილმა.

მაისში დაგეგმილია საერთაშორისო ტურნირი შვეციაში „პრიოვოლტენის თასზე“, სადაც ზემოხსენებული სკოლის აღსაზრდელები კვლავ აპირებენ მონაწილეობას. ცხადია, თუ დაფინანსება იქნება. სკოლა, მწვრთნელები და სპორტსმენები შემწეობის იმედს არ კარგავენ.



## თენგიზ კოშკაძე

***დაიბადა*** 1987 წელს, თბილისში
***სწავლობს*** 183-ე საშ. სკოლის IX კლასში
***ვარჯიში*** დაიწყო 7 წლის ასაკიდან კონსტანტინე გულისაშვილთან (გადავიდა აშშ-ში)
***ამჟამად*** ვარჯიშობს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან, ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელთან ზაურ სულაშვილთან.
***მსოფლიო ჩემპიონატის*** ფინალისტი (IV ადგ.), „გრენზლანდის თასის“ ორგზის გამარჯვებული, საქართველოს ჩემპიონი.
***არის*** თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის აღსაზრდელი.



## ლუბა გოლოვინა

***დაიბადა*** 1990 წელს, თბილისში
***მშობლები*** სპორტის ოსტატებია ტანვარჯიშში
***სწავლობს*** 83-ე საშ. სკოლის VI კლასში
***ვარჯიში*** დაიწყო 5 წლის ასაკიდან საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ვალენტინა კლიმოვასთან.
***ამჟამად*** ავარჯიშებს ვალერი ჩხაბერიძე
***საქართველოს ნაკრების წევრი***
***მსოფლიოს ჩემპიონატის*** მეორე პრიზიორია, შვეციისა და აახენის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, საქართველოს ჩემპიონი.
***სპორტსაზოგადოება „მართვეს“*** წევრი, თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის აღსაზრდელი.

# საქართველოს იუნიორ მორაგბეთა ნაკრებმა ელიტარულ „ა“ ჯგუფში შეინარჩუნა ადგილი

იტალიაში მიმდინარე იუნიორ მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა მორაგბეებმა, მართალია, წარუმატებლად დაიწყეს ასპარეზობა (შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ტარდება და ქართველებმა პირველ მატჩში უელსის გუნდ[illegible] კვირას, მათ იაპონიის ნაკრების დამარცხება შეძლეს – 15:12 და კვლავ შეინარჩუნეს ადგილი ელიტარულ „ა“ ჯგუფში. ახლა საქართველოს იუნიორ მორაგბეთა ნაკრები მეცხრე ადგილისთვის აგრძელებს ბრძოლას და მისი მომდევნო მეტოქე რუსეთის ნაკრებია.

***გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს. პირველი ეტაპი:*** ახალი ზელანდია — კორეა 83:10, ირლანდია — იტალია 24:27, სამხრეთ აფრიკა — ჩილე 48:3, ინგლისი — რუმინეთი 56:6, უელსი — საქართველო 13:3, არგენტინა — იაპონია 50:5, ურუგვაი — შოტლანდია 13:54, საფრანგეთი — რუსეთი 15:0. ***მეორე ეტაპი:*** ახალი ზელანდია — იტალია 80:8, კორეა — ირლანდია 7:32, სამხრეთ აფრიკა — ინგლისი 17:8, ჩილე — რუმინეთი 17:19, უელსი — არგენტინა 9:12, საქართველო — იაპონია 15:12, შოტლანდია — საფრანგეთი 17:26, ურუგვაი — რუსეთი 19:26.
***მესამე ეტაპზე ერთმანეთს ხვდებიან:*** ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა. იტალია — ინგლისი, ირლანდია — რუმინეთი, კორეა — ჩილე, არგენტინა — საფრანგეთი. უელსი — შოტლანდია, იაპონია — ურუგვაი. მესამე ეტაპის მატჩები ხვალ ჩატარდება.

# ევროპის ჩემპიონატის წინ

***მაგიდის ჩოგბურთი***

ივნისში იუნიორ მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება მოსკოვში. ამ ასპარეზობისთვის ნაკრების კანდიდატთა გამოვლენას ისახავდა მიზნად საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც თბილისში გაიმართა 171-ე საშუალო სკოლაში.

***კვარცხლბეკი. 1990-94 წლებში დაბადებულნი. გოგონები:*** 1. თამთა შარაშიძე, 2. ცისანა ტყეშელაშვილი (ორივე — ბათ), 3. თამარ ალაიანი (თბ); ***ჭაბუკები:*** 1. თემურ მირზოევი (ბათ), 2. ვირაბ კაზარიანი, 3. გიორგი პოლოსიანი (ორივე — თბ); ***1985-89 წლებში დაბადებულნი. გოგონები:*** 1. მაია ბარამიძე, 2. ნარინე ეტარიანი, 3. თეონა მაისურაძე (სამივე — ბათ); ***ჭაბუკები:*** 1. კოტე ხარატი, 2. აკოფ მანუკიანი (ორივე — თბ), 3. გიორგი დოლიძე (ბათ); ***1984 წელს დაბადებულნი. ქალიშვილები:*** 1. ეტარიანი, 2. ნატო აბაშიძე (თბ), 3. მაისურაძე; ***ვაჟები:*** 1. ხარატი, 2. მამუკა გორდაძე (ბათ), 3. სერგეი იალიშევი (თბ).

თბილისელ და ბათუმელ სპორტსმენთა გარდა ასპარეზობაში მონაწილეობდნენ რუსთავის, თელავის, ბორჯომის წარმომადგენლები. მთავარი მსაჯი იყო ს. გვილავა.



I რიგში გამარჯვებულები

რობერტ ბაგოიანის ფოტო

# პრესკონფერენცია

*(პირველი გვერდიდან)*

თვლილი ფედერაციების თანხებიდან ხორციელდება სხვა ეროვნული ფედერაციების დახმარება. საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ გაუმჯობესდეს ფინანსური მდგომარეობა".

— „განხილულ იქნა აუდიტორული შემოწმების შედეგები. იცით, რომ ჩვენთანაც იყვნენ აუდიტორული ფირმა „ერნსტ ენდ იანგის" წარმომადგენლები. სფფ-ს მუშაობით ისინი კმაყოფილნი არიან. ამასთანავე მათ წარმოუდგინეს თითოეულ ფედერაციას ის რეკომენდაციები, რომელთა შესრულება გვმართებს ყველას. შესწორებები, რომელიც სფფ-ს ეხება, ძირითადად ჩვენი საარჩევნო სისტემის დახვეწისკენ არის მიმართული., რასაც ვითვალისწინებთ კიდეც. შეკრებაზე ყველა ფედერაციამ თავისი პროექტი წარმოადგინა. იცით, რომ სფფ-ს ახალი ოფისის მშენებლობა, რომელიც ორ თვეში დასრულდება, უეფას დახმარებით ხორციელდება, ხოლო სანაკრებო ბაზის მშენებლობაში, რომელიც მწყობრში წლის ბოლოს ჩადგება, ფიფა დაგვეხმარა. ყველასთვის დაუჯერებელი აღმოჩნდა ის, რომ ორივე შენობისთვის, რომელთა აგება ევროპაში საკმაოდ ძვირია, ჩვენ მხოლოდ 450-500 ათასი დოლარი გვიჯდება, მთლიანობაში ბაზაც და ოფისიც მილიონი დოლარი ჯდება. საქმე ისე მიდის, რომ ამ თანხაში ჩავეტევით".

მერაბ ჟორდანია არჩევნების საკითხსაც შეეხო — „იცით, რომ წლეულს ფიფაში და უეფაში პრეზიდენტების არჩევნებია. უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა, რომ ფიფას პრეზიდენტის პოსტზე იგი მხარს დაუჭერს აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტის ისა ჰაიოტოს კანდიდატურას. ამასთან, განმარტა ისიც, რომ ევროპის ქვეყნების ფედერაციები ვალდებულნი სულაც არ არიან აფრიკის წარმომადგენელს დაუჭირონ მხარი. უეფას აღმასკომში წევრობას რაც შეეხება, კანდიდატურები დაასახელა უკრაინამ, რუსეთმა, აზერბაიჯანმა, პოლონეთმა და ხორვატიამ, ფრანგებმა ევროპული ფეხბურთის უპირველესი ორგანიზაციის აღმასკომში მიშელ პლატინის კანდიდატურა წარადგინეს, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ადგილს, აღმასკომში ალბათ პლატინი დაიკავებს.

სფფ-სთვის ამ ეტაპზე უმთავრესი ერთი საკითხია. ფიფასა და უეფას კონგრესებზე მსოფლიოში ფეხბურთის განვითარებაში და პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის ჯილდოებზე ჩვენი კანდიდატურები წარვადგინოთ და ჩვენი შეხედულება დავაფიქსიროთ — უეფას ჯილდოზე ალექსანდრე ჩივაძე და ფიფას ჯილდოზე — დავით ყიფიანი. უეფაში 51 კანდიდატიდან მხოლოდ სამს გადაეცემა ეს ჯილდო. მაგალითისთვის გეტყვით, რომ გერმანიამ ფრანც ბეკენბაუერი, ხოლო უკრაინამ ვალერი ლობანოვსკი წარადგინა ჯილდოზე".

— „უეფას აღმასკომის წევრობაზე ჩემი კანდიდატურის წამოყენებაზე თავი შევიკავე, რადგან ჩვენ საანგარიშო-საარჩევნო ყრილობას ვატარებთ წლეულს. უეფას კონგრესი 2004 წელსაც გაიმართება. ამ დროისთვის აღმასკომში რამდენიმე ადგილი განთავისუფლდება და თუ ისევ ამირჩევენ სფფ-ს პრეზიდენტად, მაშინ წარვადგენ ჩემს კანდიდატურასაც. აქვე გაუწყებთ, რომ სფფ-ს ყრილობას და ოფისის გახსნას აუცილებლად დაესწრებიან უეფას მაღალჩინოსნები.

ეროვნული ნაკრების თაობაზე და კონკრეტულად კახი კალაძესთან დაკავშირებით მერაბ ჟორდანიამ შემდეგი განაცხადა:

— „ეს ძალიან მტკივნეული თემაა, მართებულია თუ არა მისი ასეთი კატეგორიული განცხადება, მიჭირს პასუხის გაცემა. კახას ნაკრებისადმი თავისი დამოკიდებულება არაერთხელ დაუმტკიცებია. გახსოვთ, ეს უბედურება ახალი მომხდარი იყო, როდესაც იგი ეროვნული გუნდის მაისურით გავიდა მინდორზე. მისი საქციელი პროტესტის ფორმაა და იმის მცდელობა, როგორმე ხმა მიაწვდინოს და ოჯახის გულისტკივილი გააგებინოს იმ პიროვნებებსა და სახელმწიფო უწყებებს, ვისაც რაღაცის გაკეთება შეუძლიათ კონკრეტულ საქმეში. იმედი მაქვს, ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდება და კახა ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდება".

# ორი დებიუტანტი და პირველი რეპეტიცია *(პირველი გვერდიდან)*

ნდრე ამისულაშვილი (ორივე — დინამო თბ), რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე (ორივე — ტორპედო, ქუთაისი), ედიკ საჯაია (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), კახი კალაძე (მილანი, იტალია), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, ლატვია); ***ნახევარმცველები:*** გიორგი ქინქლაძე (დერბი, ინგლისი), გოჩა ჯამარაული (ლუცერნი, შვეიცარია), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გოგა გახოკიძე (პსვ, ჰოლანდია), რატი ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), თემურ ქეცბაია (დანდი, შოტლანდია), ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული (ორივე — დინამო თბ); თავდამსხმელები: გიორგი დემეტრაძე (ლოკომოტივი, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია). გუნდში ორი დებიუტანტია: ამისულაშვილი და დარასელია. ნაკრები 25 მარტს სასტუმრო საირმეში განთავსდა. გუნდმა პირველად გუშინ დინამოს ბაზაზე ივარჯიშა.

სტუმრებიც თბილისს წუხელ გვიან ღამით ეწვივნენ. არაბებთან დამარცხებით განაწყენებულმა სამხრეთაფრიკელთა დამრიგებელმა იომო სონომ ქართველებთან საპაექროდ ნაკრები ლეგიონერებით შესამჩნევად გააძლიერა. ***მეკარეები:*** ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანდრე არენდსე (სანტოსი); ***მცველები:*** ბრედლი კარნელი (შტუტგარტი, გერმანია), ჯეკობ ლეკხეტო (ლოკომოტივი, რუსეთი), აარონ მოკოენა (ბეერსხოტი, ბელგია). მეთიუ ბუთი (მამელოდი, სანდაუზი), ჰილტონ ჯორდანი, ტაბანგ მოლეფე (ორივე — იომოკოსმოსი); ***ნახევარმცველები:*** კვინტონ ფორჩუნი (მანჩესტერი, ინგლისი), დერნოლ ბაკლი (ბოხუმი, გერმანია). ბენეტ მნგუნი (ლოკომოტივი, რუსეთი), ტებეო მოკოენა (სენტ გალენი, შვეიცარია), სიაბონგა ნომვეტე (უდინეზე, იტალია), სიბუსისო ზუმა (კოპენჰაგენი, დანია), ლოვერს მოლალა (მამელოდი სანდაუნზი), მაკბეტ სიბაია (იომოკოსმოსი); ***თავდამსხმელები:*** ჯიმი კაულეზა (ფრი სტეიტ სტარზი). ლესლი მანიატელა (ორლანდო პაირატსი), კლემენტ მაზიბუკო (უმტატა ბუშ ბუქსი).

***გულშემატკივრების საყურადღებოდ! მატჩის ბილეთები იყიდება „ლოკომოტივისა" და ეროვნული სტადიონის სა·ჯაროებში.***

# კარგი მატჩი დრამატული დასასრულით

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

*„ლოკომოტივის" სტადიონი. უმაღლესი ლიგა, XXII ტური*

**«ლოკომოტივი» (თბილისი) — «დინამო» (ბათუმი) 3–2**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, დავითნიძე, ცხადაძე, სალუქვაძე, გოგიჩაიშვილი, გელა ქორიძე, ჭიჭველიშვილი (სირაძე, 75), დათვაძე (ბერელიძე 89), კაიდარაშვილი (ქარდავა 46), დავითაშვილი.

**დინამო:** გ. ჭანტურია, ჩიჩუა, მინდაძე, არჩვაძე (ი. მახარაძე 14), ხუჯაძე, ქაცარავა, დ. ჯანაშია, თურმანიძე, დარჩიძე (ზვ. გვაზავა 75), რომანაძე (გ. ჩხაიძე 78), აფხაზავა.

**გოლები:** 0-1, 0-2 აფხაზავა (10, 35), 1-2 დათვაძე (37), 2-2 დავითაშვილი (44), 3-2 გოგიჩაიშვილი (90 პ).

**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

სანახაობრივი და უხვგოლიანი გამოდგა ვაკეში გამართული შეხვედრა. მეტოქეებმა ერთმანეთს გახსნილი თამაში შესთავაზეს და გამოწვევა ორივემ მიიღო. ბათუმელებმა თამაში კონტრშეტევებზე ააგეს, რამაც მატჩის დასაწყისში გაამართლა კიდეც, თუმცა ამის მიზეზად სამართლიანად შეიძლება მასპინძელთა ზედმეტი თვითდაჯერებაც ჩავთვალოთ, ფაქტობრივად, რკინიგზელები მხოლოდ ორი ფეხბურთელით იცავდნენ თავს და საკადრისადაც დაისაჯნენ. „დინამომ" რკინიგზელთა კარისკენ სულ ორჯერ დაარტყა, მაგრამ ასპროცენტიანი შედეგით. შეტევის ბოლო ფაზაში შესანიშნავად ითამაშა აფხაზავამ, რომლის ეფექტურმა გოლებმა სტუმრები ორი ბურთით დააწინაურა. „ლოკომოტივის", თითქმის გამუდმებული იერიშების ფონზე, გააზრებული თამაშის წყალობით, სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა ცუდმა დასაწყისმა „ლოკომოტივი" არ დააბნია, პირიქით, გაახელა კიდეც და ზღვისპირელთა კარის ალყა ტაიმის ბოლო წუთამდე გაგრძელდა. ჯერ დათვაძემ ახლო მანძილიდან დალაშქრა ჭანტურიას კარი, ტაიმის ბოლო წუთზე კი თავი დავითაშვილმა ისახელა — თითქმის უკვე უიმედო ვითარებიდან შესანიშნავი გამოსავალი იპოვა, საჯარიმოში წაქცეული მკვირცხლად წამოდგა — მცველებს აჯობა და ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში ფსიქოლოგიური უპირატესობა, თითქოს მასპინძლებს უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ისიც კარგად გამოჩნდა, რომ „დინამო" დანებებას არ აპირებდა. „ლოკომოტივის" სახიფათო შეტევას ბათუმელები, არანაკლებ მწვავე კონტრიერიშით პასუხობდნენ, განსაკუთრებით დავით ჯანაშია აქტიურობდა. ოჰ, როგორ სურდა ფორვარდს თავისი ყოფილი კლუბის გოლით დამწუხრება, მაგრამ მეორე ნახევარში ვერც მან და ვერც აფხაზავამ, ლომაიას გაწბილება ვერაფრით შეძლეს. არადა, გოლის გატანის შესაძლებლობა, არაერთი ჰქონდათ სტუმართა თავდამსხმელებს. კვანძი მატჩში მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გაიხსნა. ბერელიძის საჯარიმოში წაქცევისათვის ღანიშნული პენალტი რკინიგზელთა კ:პიტანმა გოგიჩაიშვილმა გოლად გარდასახა და მატჩიც დასრულდა. შეხვედრის ლოგიკური შედეგი, ალბათ, ფრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ უმძაფრესმა ჭიდილმა გამარჯვებული მაინც გამოავლინა. რამდენიმე კვირაში მეტოქენი ვაკეში



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

ლოკომოტივი — დინამო (ბთ)

ისევ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად განმეორებით სათასო მეოთხედფინალურ მატჩში. სერიალი თბილისის „ლოკომოტივი" — ბათუმის „დინამო" ჩემპიონატის მეორე ეტაპზეც გაგრძელდება. ერთს რევანშის საშუალება კიდევ აქვს, მეორეს — თავისი უპირატესობა-უკეთესობის კიდევ დამტკიცებისა.

საბა ლომინაძე

## სხვა მატჩები, ტექნიკური შედეგები

***სიონი — ვიტ ჯორჯია 0-1***

***სიონი:*** დალაქიშვილი, სიდამონიძე, პაპიძე, ლ. ამბიძე, კარიაული (ჩაგელიშვილი 60), მოსეშვილი, ისიანი, ნინუა, შაკიაშვილი (მინაშვილი 65), გაბისკირია, გიორგი ქორიძე.

***ვიტ ჯორჯია:*** ჭურაძე, თ. კობიაშვილი, ინწკირველი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, გველესიანი, დილმელაშვილი, დ. დოლიძე, ადამია (ზ. მეტრეველი 75), გოჩაშვილი (მ. ცქიფურიშვილი 88), წუწუნავა (ფეიქრიშვილი 80).

***გოლი:*** 0-1 დილმელაშვილი (50 პ)

***გააფრთხილეს:*** ნინუა, მოსეშვილი, ინწკირველი, ამბიძე, სიდამონიძე.

***მსაჯი:*** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

***კოლხეთი 1913 — მერანი 1-1***

***კოლხეთი:*** მ. გვასალია, ტორჩინავა, წივწივაძე, ე. გვასალია (ჭანტურიძე 77), ფანჩულიძე, კვირკველია, ქუტიძე, პაპავა (დ. ოდიკაძე 26), კ. კვეტენაძე, ნარსია, დაუშვილი.

***მერანი:*** ნაჭყეპია, გოგიტაძე, კვეკვესკირი, გ. ხიზანიშვილი, გ. ილურიძე, ბაჯელიძე (კ. მეტრეველი 90), კოშკაძე, ფირცხალაიშვილი, ი. შენგელია (ცაკაშვილი 90), ჭინჭარაული, ბოლქვაძე.

***გოლები:*** 0-1 კოშკაძე (60), 1-1 წივწივაძე (62).

***გააფრთხილეს:*** ბოლქვაძე, ფირცხალაიშვილი, ოდიკაძე, შენგელია.

***მსაჯი:*** კ. მესხი (ზუგდიდი).

***ტორპედო — სამგურალი 3-0***

***ტორპედო:*** ტოგონიძე, ლ. ჭელიძე (გამეზარდაშვილი 64), აბრამიძე, მახვილაძე, თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე (მალანია 46), შ. ბაბუნაშვილი (ახალკაცი 46), ქუთათელაძე, პოროშინი, იონანიძე.

***სამგურალი:*** ო. ბობოხიძე, ფრანგიშვილი, ბანძელაძე, დ. ჭელიძე, ლ. ქო..ელაძე, ფუტკარაძე, ფხაკაძე (ჯინჭარაძე 46), ღონღაძე, კოპალიანი (კ. ჯანაშია 46), ხაჭაპურიძე (დარსაძე 46), ქადაგიძე.

***გოლები:*** 1-0 ქუთათელაძე (15), 2-0 პოროშინი (38), იონანიძე (83).

***მსაჯი:*** ა. შილაკაძე (თბილისი).

***გორდა — მეტალურგი 0-0***

***გორდა:*** ბათიაშვილი, ხმალაძე (თავბერიძე 70, ა. ლურსმანაშვილი 76), ბერიძე, ჭანკოტაძე (მონასელიძე 46), ზ. ცქიფურიშვილი, ზვ. ლაბაძე, ებრალიძე, ლაშა სილაგაძე, ზურაბ ლაბაძე, ალადაშვილი, კიტეიშვილი.

***მეტალურგი:*** ა. ლაბაძე, ბაქრაძე, მერებაშვილი, მაღლაკელიძე, სულაკაძე, კობესაშვილი, მემარნიშვილი, კაციაშვილი (გაბრიჭიძე 84), ვარდიაშვილი, კრავეიშვილი, ენდელაძე.

***გააფრთხილეს:*** სილაგაძე.

***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

***გურია — დინამო (თბ) 0-2***

***გურია:*** ჩომახიძე, მ. სალუქვაძე, განევი, ქვანია, სულაქველიძე, ფაცურია, კუკულაძე (ხუნაშვილი 46), ლ.ჩხაიძე, ნაროუშვილი, გ. ბაბუნაშვილი (ციკაჩეიშვილი 65), ჯიქიძე.

***დინამო:*** გვარამაძე, კარლოსი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ა. სახვაძე (კანდელაკი 46), ამისულაშვილი, მანწკავა, ბურდული, დარასელია (მაზიაშვილი 68), ანჩაბაძე, მ. ბობოხიძე (გ. მიქაძე 46).

***გოლები:*** 0-1 ამისულაშვილი (47), 0-2 დარასელია (60).

***გააფრთხილეს:*** გვარამაძე, მანწკავა, ბაბუნაშვილი.

***მსაჯი:*** ა. ორდინიძე (ონი).

## I ეტაპის საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 22 | 16 | 4 | 2 | 52-13 | 52 (26) |
| ლოკომოტივი | 22 | 15 | 4 | 3 | 38-12 | 49 (25) |
| დინამო (თბ) | 22 | 11 | 5 | 6 | 37-19 | 38 (19) |
| დინამო (ბთ) | 22 | 11 | 4 | 7 | 31-19 | 37 (19) |
| კოლხეთი 1913 | 22 | 10 | 5 | 7 | 32-29 | 35 (18) |
| მერანი | 22 | 10 | 4 | 8 | 34-28 | 34 (17) |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 9 | 6 | 7 | 33-29 | 33 (17) |
| სიონი | 22 | 7 | 4 | 11 | 17-30 | 25 (13) |
| მეტალურგი | 22 | 4 | 8 | 10 | 17-34 | 20 (10) |
| გურია | 22 | 3 | 6 | 13 | 14-44 | 15 (8) |
| გორდა | 22 | 3 | 5 | 14 | 16-37 | 14 (7) |
| სამგურალი | 22 | 3 | 5 | 14 | 15-42 | 14 (7) |

დებულების თანახმად კენტ ქულებს ერთი ქულა ემატებათ და მერე განახევრდება. ფრჩხილებში მოცემულია მეორე ეტაპზე დარიცხულ ქულათა რაოდენობა.

***ბომბარდირები:***

12-12 წივწივაძე (კოლხეთი), პოროშინი (ტორპედო)

11-11 დავითაშვილი (ლოკომოტივი), ქუთათელაძე (ტორპედო).

# ყველაფერი თავიდან იწყება

დავამთავრეთ ეროვნული პირველობის პირველი ეტაპი. მეორეს კი ნულებით და განახევრებული ქულებით დავიწყებთ. საკმარისია გათამაშების ცხრილს, გუნდების განლაგებას დავხედოთ, რომ კარგად დავინახავთ, ვის რა ამბიცია ამოძრავებს, ვინ იქნება ჩემპიონობის უპირველესი პრეტენდენტი, ვინ მხოლოდ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს. ..სკვნითი ათი მატჩი ყველას შესაბამის ადგილს მიუჩენს.

# შალამბერიძე და მეშკოვი გააფრთხილეს

ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურის ცენტრალური შეხვედრა „ლოკომოტივსა" და ბათუმის „დინამოს" შორის დრამატულად დასრულდა. თბილისელებმა მატჩის ბოლო წამებზე მსაჯის მიერ დანიშნული პენალტით გაიმარჯვეს. აღნიშნულმა ეპიზოდმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. მატჩის ინსპექტორის ნოდარ კაკულიას პატაკი შეისწავლა სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტთან არსებულმა სადისციპლინო კომისიამ და შეხვედრის მთავარ მსაჯს ავთანდილ შალამბერიძეს, რომელსაც ორი დღის წინ 44 წელი შეუსრულდა, შესაბამისი სასჯელი გამოუტანა. კაკულიამ მსაჯობა ათბალიანი სისტემით, 5,5 ბალით შეაფასა, რაც არადამაკმაყოფილებელი ნიშანია. მისი განმარტებით, შალამბერიძემ რამდენიმე ეპიზოდში მეთოდური შეცდომა დაუშვა, ხოლო იმ ვითარებაში, რომელსაც პენალტი და გადამწყვეტი გოლი მოჰყვა ბათუმელთა კარში, არასწორი პოზიცია დაიკავა მინდორზე — ეპიზოდიდან შორს იმყოფებოდა და არარსებული პენალტი დანიშნა. ამასთან, მატჩის ინსპექტორმა აღნიშნა, რომ მსაჯის ქმედებაში იგი მიკერძოებას გამორიცხავს, ეს იყო მსაჯის ტიპიური პოზიციური შეცდომა — განაცხადა მან სხდომაზე. კომისიამ დაწვრილებით განიხილა ეპიზოდი ვიდეოფირის მეშვეობით, მოისმინა წევრთა და დამსწრე ჟურნალისტთა აზრიც და დაადგინა: სფფ-ს სადისციპლინო კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად, ვინაიდან მსაჯის უმართებულო გადაწყვეტილებამ გავლენა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე, ავთანდილ შალამბერიძეს ერთი თვით ეკრძალება უმაღლესი ლიგის მატჩების მსაჯობა. იმავდროულად, მკაცრად გააფრთხილეს, რომ ზემოთხსენებული შეცდომის განმეორების შემთხვევაში, საერთოდ, აეკრძალება მსაჯობა.

კომისიამ განიხილა მსაჯის მიერ დაშვებული კიდევ ერთი შეცდომა, რომელიც თბილისის „დინამოსა" და ფოთის „კოლხეთის" მატჩში დაფიქსირდა. შეხვედრის მთავარმა მსაჯმა ალექსანდრე მეშკოვმა ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში სამართლიანი პენალტი არ დანიშნა და თუმცა მის არასწორ გადაწყვეტილებას მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია, კომის··ამ იგი მაინც მკაცრად გააფრთხილა.

## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# საქართველოს 2001-02 წლების XIII ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი

## II ეტაპი

**I-VI ადგილებისათვის**

*I წრე*

*I ტური*

*31 მარტი, კვირა*

1. ლოკომოტივი – ტორპედო
2. მერანი-91 თბ. – დინამო ბთ.
3. დინამო თბ. – კოლხ.-1913

*3 აპრილი, ოთხშაბათი*

თასის 1/4 ფინალი

*II ტური*

*7 აპრილი, კვირა*

1. ტორპედო – კოლხეთი-1913
2. დინამო ბთ – დინამო თბ
3. ლოკომოტივი – მერანი-91

*III ტური*

*12 აპრილი, პარასკევი*

1. მერანი-91 – ტორპედო

*13 აპრილი, შაბათი*

2. დინამო თბ – ლოკომოტივი
3. კოლხეთი-1913 – დინამო ბთ

*IV ტური*

*20 აპრილი, შაბათი*

1. ტორპედო – დინამო ბთ
2. ლოკომოტივი – კოლხ.-1913
3. მერანი-91 – დინამო თბ

*23 აპრილი, სამშაბათი*

თასის 1/2 ფინალი

*V ტური*

*27 აპრილი, შაბათი*

1. დინამო თბ – ტორპედო
2. კოლხ.-1913 – მერანი-91
3. დინამო ბთ – ლოკომოტ.

*II წრე*

*VI ტური*

*1 მაისი, ოთხშაბათი*

1. ტორპედო – ლოკომოტივი
2. დინამო ბთ – მერანი-91
3. კოლხ.-1913 – დინამო თბ

*4 მაისი, შაბათი*

თასის 1/2 ფინალი

*VII ტური*

*8 მაისი, ოთხშაბათი*

1. კოლხ.-1913 – ტორპედო
2. დინამო თბ – დინამო ბთ
3. მერანი-91 – ლოკომოტივი

*VIII ტური*

*12 მაისი, კვირა*

1. ტორპედო – მერანი-91
2. ლოკომოტივი – დინამო თბ
3. დინამო ბთ – კოლხ.-1913

*IX ტური*

*18 მაისი, შაბათი*

1. დინამო ბთ – ტორპედო
2. კოლხ.-1913 – ლოკომოტივი
3. დინამო თბ – მერანი-91

*X ტური*

*22 მაისი, ოთხშაბათი*

1. ტორპედო – დინამო თბ
2. მერანი-91 – კოლხეთი-1913
3. ლოკომოტივი – დინამო ბთ

*26 მაისი, კვირა*

თასის ფინალი.

**VII-XII ადგილებისათვის**

*I წრე*

*I ტური*

*31 მარტი, კვირა*

1. სიონი – მეტალურგი
2. გორდა – ვიტ ჯორჯია
3. სამგურალი – გურია

*3 აპრილი, ოთხშაბათი*

თასის 1/4 ფინალი



*II ტური*

*7 აპრილი, კვირა*

1. მეტალურგი – გურია
2. ვიტ ჯორჯია – სამგურალი
3. სიონი – გორდა

*III ტური*

*13 აპრილი, შაბათი*

1. გორდა – მეტალურგი
2. სამგურალი – სიონი
3. გურია – ვიტ ჯორჯია

*IV ტური*

*20 აპრილი, შაბათი*

1. მეტალურგი – ვიტ ჯორჯია
2. სიონი – გურია
3. გორდა – სამგურალი

*23 აპრილი, სამშაბათი*

თასის 1/2 ფინალი

*V ტური*

*27 აპრილი, შაბათი*

1. სამგურალი – მეტალურგი
2. გურია – გორდა
3. ვიტ ჯორჯია – სიონი

*II წრე*

*VI ტური*

*1 მაისი, ოთხშაბათი*

1. მეტალურგი – სიონი
2. ვიტ ჯორჯია – გორდა
3. გურია – სამგურალი

*4 მაისი, შაბათი*

თასის 1/2 ფინალი

*VII ტური*

*8 მაისი, ოთხშაბათი*

1. გურია – მეტალურგი
2. სამგურალი – ვიტ ჯორჯია
3. გორდა – სიონი

*VIII ტური*

*12 მაისი, კვირა*

1. მეტალურგი – გორდა
2. სიონი – სამგურალი
3. ვიტ ჯორჯია – გურია

*IX ტური*

*18 მაისი, შაბათი*

1. ვიტ ჯორჯია – მეტალურგი
2. გურია – სიონი
3. სამგურალი – გორდა

*X ტური 22 მაისი, ოთხშაბათი*

1. მეტალურგი – სამგურალი
2. გორდა – გურია
3. სიონი – ვიტ ჯორჯია

## პირველი ლიგა, XXII ტური

*კოლხეთი (ხ) — ქობულეთი 0-1*
*დინამო2 (თბ) — მილანი 0-1*
*მერანი2 — ლოკომოტივი3 1-6*
*დილა — თსუ 1-0*
*ცხინვალი — ლაზიკა 3-1*
*თორი — ლოკომოტივი (სამტრედია) 0-3*

*შენიშვნა: თორი მოხსნილია გათამაშებიდან.*



*დინამო „თბ.2" – მილანი (წნ)*

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

I ეტაპის საბოლოო ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 22 | 15 | 4 | 3 | 51-14 | 49 (25) |
| მილანი | 22 | 13 | 7 | 2 | 47-19 | 46 (23) |
| თსუ | 22 | 14 | 3 | 5 | 40-14 | 45 (23) |
| ქობულეთი | 22 | 13 | 5 | 4 | 28-16 | 44 (22) |
| ლოკომოტივი3 | 22 | 11 | 6 | 5 | 40-22 | 39 (20) |
| ცხინვალი | 22 | 11 | 3 | 8 | 42-30 | 36 (18) |
| დინამო2 (თბ) | 22 | 9 | 1 | 12 | 21-24 | 28 (14) |
| ლაზიკა | 22 | 7 | 4 | 11 | 28-40 | 25 (13) |
| ლოკ.(სამტრ) | 22 | 5 | 4 | 13 | 20-39 | 19 (10) |
| კოლხეთი (ხ) | 22 | 4 | 7 | 11 | 20-36 | 19 (10) |
| მერანი2 | 22 | 5 | 1 | 16 | 17-47 | 16 (8) |
| თორი | 22 | 2 | 1 | 19 | 15-68 | 7 |

## რეგიონული ლიგა

აღმოსავლეთის ზონა, XXII ტური

*კრწანისი — ვიტ ჯორჯია2 0-2*
*მერანი3 — ივერია 1-8*
*მაუდი — დინამო3 4-3*
*ჯავახი — გორდა2 0-3*
*მესხეთი — ალაზანი 2-1*
*ლიახვი — მცხეთა 1-6*
*თბილისი — აკადემია 2-2*
*მრეტები — ზოოვეტი 1-2*
*ჰაბუკიანი — ოლიმპიკი 1-1*

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 21 | 17 | 2 | 2 | 54-11 | 53 |
| ალაზანი | 21 | 15 | 2 | 4 | 53-20 | 47 |
| მაუდი | 21 | 13 | 3 | 5 | 33-19 | 42 |
| ივერია | 21 | 13 | 2 | 6 | 60-34 | 41 |
| ცხუმი | 20 | 12 | 4 | 4 | 48-16 | 40 |
| ვიტ-ჯორჯია2 | 21 | 11 | 6 | 4 | 44-18 | 39 |
| ოლიმპიკი | 21 | 11 | 5 | 5 | 44-23 | 38 |
| ზოოვეტი | 21 | 12 | 0 | 9 | 43-29 | 36 |
| ჰაბუკიანი | 20 | 9 | 8 | 3 | 33-15 | 35 |
| მესხეთი | 21 | 11 | 1 | 9 | 33-33 | 34 |
| აკადემია | 21 | 9 | 7 | 5 | 35-25 | 34 |
| ლიახვი | 21 | 8 | 1 | 12 | 29-46 | 25 |
| გორდა2 | 21 | 6 | 5 | 10 | 31-33 | 23 |
| დინამო3 | 21 | 5 | 6 | 10 | 29-33 | 21 |
| კრწანისი | 20 | 5 | 2 | 13 | 26-46 | 17 |
| თბილისი | 21 | 4 | 4 | 13 | 29-65 | 16 |
| მერანი3 | 21 | 3 | 3 | 15 | 15-60 | 12 |
| მრეტები | 21 | 0 | 6 | 15 | [illegible]-46 | 6 |
| ჯავახი | 21 | 0 | 1 | 20 | 17-102 | 1 |

დასავლეთის ზონა, XXI ტური

*დინამო (ზ) — საპოვნელა 1-0*
*მეტალურგი2 — ოკრიბა 0-1*
*გურია2 — ეგრისი 4-2*
*სულორი — გზები 1-0*
*სამეგრელო — მაღაროელი 0-1*
*დინამო (სოხ) — ლუკა 0-2*
*მერცხალი — სალხინო 4-0*
*დინამო2 (ბთ) — ჩიხურა 2-1*
*ინტერი — საირმე 1-0*
*კოლხეთი2 — სქური 0-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 21 | 18 | 0 | 3 | 53-22 | 54 |
| მერცხალი | 20 | 16 | 2 | 2 | 49-15 | 50 |
| დინამო (ზ) | 21 | 16 | 2 | 3 | 45-18 | 50 |
| საპოვნელა | 21 | 14 | 4 | 3 | 64-22 | 46 |
| მაღაროელი | 21 | 14 | 1 | 6 | 50-30 | 43 |
| გურია2 | 21 | 12 | 3 | 6 | 55-27 | 39 |
| კოლხეთი2 | 21 | 9 | 8 | 4 | 33-18 | 35 |
| სალხინო | 21 | 11 | 1 | 8 | 34-33 | 34 |
| სქური | 21 | 9 | 5 | 7 | 33-34 | 34 |
| ინტერი | 21 | 10 | 1 | 10 | 30-35 | 31 |
| ეგრისი | 21 | 8 | 2 | 11 | 36-35 | 26 |
| გზები | 21 | 8 | 2 | 11 | 24-31 | 26 |
| საირმე | 21 | 7 | 3 | 11 | 20-28 | 24 |
| ჩიხურა | 21 | 6 | 1 | 14 | 18-48 | 19 |
| მეტალურგი2 | 21 | 5 | 3 | 13 | 30-41 | 18 |
| დინამო2 (ბთ) | 21 | 5 | 3 | 13 | 17-43 | 18 |
| ოკრიბა | 21 | 5 | 0 | 16 | 18-48 | 15 |
| ლუკა | 20 | 4 | 3 | 13 | 20-51 | 15 |
| სამეგრელო | 21 | 4 | 2 | 15 | 26-55 | 14 |
| დინამო (სოხ) | 21 | 3 | 5 | 13 | 23-48 | 14 |



## ჩემპიონთა ლიგა

შვეიცარიაში ჩატარდა ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის წილისყრა. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

***პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)***
***ბაიერნი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი)***
***დეპორტივო (ესპანეთი) — მანჩესტერი (ინგლისი)***
***ლივერპული (ინგლისი) — ბაიერი (გერმანია)***

შეხვედრები გაიმართება 2-3 და 9-10 აპრილს.

***ნახევარფინალები*** გაიმართება 23-24 აპრილს და 30 აპრილსა და 1 მაისს. ერთმანეთს შეხვდებიან:

პანათინაიკოს – ბარსელონას წყვილში გამარჯვებული შეხვდება ბაიერნი-რეალის წყვილში გამარჯვებულს.

დეპო׳ტივო – მანჩესტერის წყვილში გამარჯვებული შეხვდება ლივერპული – ბაიერის წყვილში გამარჯვებულს.

## უეფას თასი

***უეფას თასის ნახევარფინალში*** ერთმანეთს შეხვდებიან:

***ინტერი (იტალია) — ფეინოორდი (ჰოლანდია); მილანი (იტალია) — დორტმუნდი (გერმანია)***

*შეხვედრები გაიმართება 4 და 11 აპრილს.*

## ფული და გუნდები – ვის, რამდენი?

როგორც ცნობილია, ჩემპიონთა ლიგის 2001-2002 წლის გათამაშება დაიწყო 32 გუნდმა (არ ითვლება საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილე გუნდები). გაგაცნობთ თუ რომელი გუნდი რამდენ თანხას მიიღებს:

| გუნდები | მონაწილეობისათვის | ბონუსი დაგროვ. ქულების მიხედვით | ბონუსი 1/4 ფინალში გასვლისთვის | სულ |
|---|---|---|---|---|
| რეალი | 2,5 | 5 | 4 | 17,5 |
| ბაიერნი | 2,5 | 4,75 | 4 | 17,25 |
| ბარსელონა | 2,5 | 4,25 | 4 | 16,75 |
| მანჩესტერი | 2,5 | 4 | 4 | 16,5 |
| ლევერკუზენი | 2,5 | 3,75 | 4 | 16,25 |
| დეპორტივო | 2,5 | 3,75 | 4 | 16,25 |
| ლივერპული | 2,5 | 3,75 | 4 | 16,25 |
| პანათინაიკ. | 2,5 | 3,5 | 4 | 16,0 |
| რომა | 2,5 | 3,25 | – | 11,75 |
| იუვენტუსი | 2,5 | 3,25 | – | 11,75 |
| გალათასარაი | 2,5 | 3,0 | – | 11,5 |
| სპარტა | 2,5 | 3,0 | – | 11,5 |
| არსენალი | 2,5 | 2,75 | – | 11,25 |
| ბოავიშტა | 2,5 | 2,5 | – | 11,0 |
| ნანტი | 2,5 | 2,5 | – | 11,0 |
| პორტუ | 2,5 | 2,5 | – | 11,0 |
| დორტმუნდი | 2,5 | 1,5 | – | 7,0 |
| ლიონი | 2,5 | 1,5 | – | 7,0 |
| მალიორკა | 2,5 | 1,5 | – | 7,0 |
| სელტიკი | 2,5 | 1,5 | – | 7,0 |
| ლილი | 2,5 | 1,25 | – | 6,75 |
| ლოკომოტივი | 2,5 | 1,25 | – | 6,75 |
| პსჟ | 2,5 | 1,25 | – | 6,75 |
| ლაციო | 2,5 | 1,0 | – | 6,5 |
| ოლიმპიაკოსი | 2,5 | 1,0 | – | 6,5 |
| ფეიენოორდი | 2,5 | 1,0 | – | 6,5 |
| შალკე | 2,5 | 1,0 | – | 6,5 |
| ანდერლეხტი | 2,5 | 0,75 | – | 6,25 |
| დინამო(კიევი) | 2,5 | 0,75 | – | 6,25 |
| რუსენბორგი | 2,5 | 0,75 | – | 6,25 |
| სპარტაკი | 2,5 | 0,5 | – | 6,0 |
| ფენერბახჩე | 2,5 | 0 | – | 5,5 |

*ფულა თანხა მოცემულია შვეიცარიულ ფრანკებში.*

*ბავშვთა ფეხბურთი*

# „იბერიის" კიდევ ერთი წარმატება

ჩატარდა „დინამოს" ღია პირველობა მინი ფეხბურთში 1993 წელს დაბადებულ ფეხბურთელთათვის. „დინამოელების" გარდა პირველობაში მონაწილეობდნენ თბილისის სხვადასხვა კლუბები და სკოლები. სულ 16 გუნდი. ფინალში „მორკინალი" შეხვდა „იბერიას". ძირითადი დრო დამთავრდა 1-1. თერთმეტმეტრიანების დარტყმისას უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ „იბერიელები" — 4-2. ისინი სანუკვარ თასს დაეუფლნენ (მწვრთნელები გ. წილოსანი და გ. გუზიტაშვილი, სპორტსკოლის დირექტორი — გ. ხეცურიანი)

III ადგილზე გავიდა „დინამოს" 1994 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა გუნდი.

„მორკინალის" მწვრთნელებია მ. ელოშვილი და გ. ზიბზიბაძე.

***სურათზე მარცხნიდან — I რიგში: ნ. ჩიგოგიძე, გ. გიგაური; II რიგში: გ. უაველაშვილი, ც. ყურაშვილი, ს. ბიკაშვილი, ლ. კოშაძე, ს. ქავთარაძე, ნ. ბატკუაშვილი, გ. მარსაგიშვილი; III რიგში: მწვრთნელი — გ. წილოსანი, მ. ხაჩიძე, ს. გაბესკელიანი, ბ. ჭეიშვილი, სპორტსკოლის დირექტორი — გ. ხეცურიანი, ბ. ტოროშელიძე, ო. ხუციშვილი, მწვრთნელი გ. გუზიტაშვილი.***



*რობერტ ბაგიაშვილის ფოტო*

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაბედნიერებას ულოცავს სფფ-ს პრეს-ატაშეს ***მამუკა კვარაცხელიას*** და ***თამარ შარაბიძეს.***

**მ ი ლ ო ც ვ ე ბ ი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს ***ანატოლი მილჩენკოს.***

## ჟურნალისტების საყურადღებოდ!

დღეს, 26 მარტს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, 12 საათზე, გამოჩენილი ვეტერანი ფეხბურთელის, 1964 წლის სსრკ-ის ჩემპიონის, გიორგი სიჭინავას ღირსების ორდენით დაჯილდოების ცერემონია მოეწყობა. იქვე ჩატარდება პრესკონფერენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №2 (23) მარტი, 2002 წელი

# მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის კარატე-დოს სეზონი – 2002 გახსნილია

## ეროვნული ფედერაცია აუცილებელია საქართველოში







საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ 2002 წლის სეზონი 17 მარტს შესანიშნავი ჩემპიონატით გახსნა - „მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის კარატე-დოში". ჩემპიონატში საქართველოს ყველა რეგიონის კარატისტები ასპარეზობდნენ. როდესაც ვამბობთ, რომ ჩემპიონატში საქართველოს ყველა რეგიონი მონაწილეობდა, უთუოდ ჩნდება კითხვა - თუ ვინ არის ამ დიდი შეჯიბრის ორგანიზატორი? ესენია: საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ქალაქ თბილისის განათლების სამმართველო, ქალაქ თბილისის სპორტისა და ტურიზმის სამმართველო და რა თქმა უნდა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია. ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზატორების ურთიერთთანამშრომლობა და თანადგომა კი, ვფიქრობ, უკვე ბევრის მთქმელია, ესე იგი, საქმე კეთდება მომავლისა, ჯანსაღი თაობა გვეყოლება და ნი მღელვარება იგრძნობოდა პატარა მეომრებში, მაგრამ ემოციების გარეშე, ვაჟკაცური თავშეკავება გამოსჭვივოდა ყოველ მათგანში. აი, ცხოვრების კიდევ ერთი, დიდი გაკვეთილი მათ, რომელიც არაერთხელ გამოადგებათ.



შეჯიბრი საზეიმოდ სიტყვით გახსნა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ, რომელმაც 2002 წლის კარატეს სეზონის გახსნა მიულოცა და გასულ წელს საქართველოში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი, როგორც დიდი წარმატება შეახსენა სპორტსმენებს. ამ გადმოსახედიდან კიდევ ერთხელ უსურვა წარმატება და იმედი გამოთქვა, რომ ეს წელიც ნაყოფიერი იქნება ფედერაციისა და ყველა სპორტსმენისათვის. ამის შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა, კარატეს ერთ-ერთმა ფუძემდებელმა საქართველოში, კარატეს ექსპერტმა, მეხუთე დანის მფლობელმა და ამავე ფედერაციის წევრმა დავით თევზაძემ შეახსენა სპორტსმენებს, რომ - „თქვენ საკმაოდ რთული და დიდი გზა გაქვთ არჩეული. გზა, რომელიც ჭეშმარიტია და ნამდვილ მამულიშვილებად ჩამოგაყალიბებთ. მაშ ასე, გისურვებთ წარმატებას. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა!" ამის შემდეგ საჩვენებელი გამოსვლებით კიდევ ერთხელ აღაფრთოვანეს მრავალრიცხოვანი მაყურებელი პატარა კარატისტებმა.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩემპიონატს ესწრებოდნენ დავით თევზაძე, გიორგი ბარამიძე, გიგი წერეთელი, მიხეილ მაჭავარიანი და ფედერაციის სხვა საპატიო წევრები და სტუმრები.

შეჯიბრს მოკლე კომენტარი გაუკეთეს დავით თევზაძემ და გიგი წერეთელმა

**<u>დავით თევზაძე:</u>** - „კარატეს ეროვნული ფედერაცია აუცილებელია საქართველოში. ეს სპორტი ემსახურება ქართველი ახალგაზრდების გაჯანსაღებას. მისასალმებელია, რომ კარატეს ფედერაცია ერთ-ერთი დარჩა, რომელსაც არ უღალატია თავისი პრინციპისთვის. ეს არის გზა



ფედერაციის პრეზიდენტის, კახა ბასილიას თქმისა არ იყოს, ბავშვი ძლიერი, გონება გახსნილი და ჯარში სამსახურისთვის საკმაოდ მომზადებული იქნება. ვეთანხმები, კარატე ხომ საუკეთესო საშუალებაა ადამიანის სულიერი და ფიზიკური აღზრდისთვის.

ერთი შეხედვით ნორჩები მებრძოლის საოცარ თვისებებს ამჟღავნებდნენ. სისხარტე, მოქნილობა, ელვისებური შეტევა, საოცარად, ინსტიქტში გადასული თავდაცვის უნარი და შინაგა-





რომელიც აყალიბებს ადამიანს სრულყოფილად."

**გიგი წერეთელი:** - „ერთი შემიძლია ვთქვა, რომ კარატე ძალიან პოპულარული გახდა საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა მისი პოპულარიზაციისთვის. კარატეს ეროვნული ფედერაცია საოცარი მაგალითია, თუ როგორ უნდა უერთგულო სპორტს, ქვეყანას და მომავალ თაობას. თაობას, რომელიც დღესაც ამ მიზნით გამოდის აქ, თავის თავს სცდის, იმ მახასიათებლებს გვიჩვენებს, რაც კარატეს აქვს: ვაჟკაცობა, ფიზიკური აღზრდა, პატრიოტიზმი, სულიერი აღზრდა. ძალიან ბევრი სახასიათო როლი აქვს კარატეს, რითაც ეს სპორტი მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის.



*- თქვენი პირადი დამოკიდებულება კარატესადმი როგორია?*

- მე მიყვარს ეს სპორტი, ჩართული ვარ ამ საქმეში უკვე კარგა ხანია, ვარ ამ ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი და ყოველთვის ვცდილობ ჩემს მეგობრებთან ერთად მხარში ამოვუდგე ისეთ აქტიურ ხალხს, როგორიც არის კახა ბასილია თუ სხვები. მომწონს ერთი რამ, ესენი არ ჩერდებიან, ეს არ არის პირველი ღონისძიება, მუდმივად რაღაც ტარდება, არის ძალიან საინტერესო პროექტი, იგივე ქალაქის სკოლებში ექსპერიმენტის სახით დანერგვისა კარატესი, როგორც სინთეზი, სპორტული აღზრდა ერთის მხრივ და მეორე სამხედრო მომზადება. ორივე სფერო განათლების სისტემაში პრაქტიკულად ჩავარდნილია და მე ვფიქრობ, ეს ექსპერიმენტი ძალიან შეუწყობს ხელს. ჩემი აზრით კარატე არის სწორედ ის სახეობა სპორტისა სადაც თავმოყრილია ერთად, როგორც პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება, ასევე ფიზიკური აღზრდაც, რაც ჩვენს მომავალ თაობას ასე ძალიან სჭირდება. მე ჩემის მხრივ ყოველთვის ვეცდები მხარში ამოვუდგე ამ კეთილ საქმეს."

„როგორც ხედავთ საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ეგიდით ტარდება ქალაქის ღია პირველობა, სადაც მონაწილეობს ყველა რეგიონი, 300 სპორტსმენი. ეს ამ სეზონის გახსნის პირველი შეჯიბრია, დახმარება გაგვწია სპორტის დეპარტამენტმა, განათლების სამინისტრომ, თავდაცვის სამინსიტრომ და ქალაქის მერიამ. მიზანი და ამოცანა რა თქმა უნდა არის კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში. და კიდევ, თბილისის ნაკრების დაკომპლექტება საქართველოს ჩემპიონატისთვის და მსაჯთა და ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ამაღლება. საერთოდ ჩვენი დღევანდელი პოტენციალის, სურათის ნახვა. რა დონეზეა



დღეს საქართველოში კარატე. აი ეს არის ჩვენი დღევანდელი მიზანი. საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაცია უკვე დიდი ხანია აწარმოებს პროგრამას სახელწოდებით „საქართველოს მომავალი". და კიდევ ერთი უმთავრესი: კარატეს სკოლებში დანერგვა, როგორც სავალდებულო საგანი. ეს უკვე აპრობირებულია ისრაელში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში. აქედან ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ყველაზე მთავარი - ყველანაირად მომზადებული ახალგაზრდა. ეს ღონისძიებაც შეიძლება ამ პროგრამის გარკვეულ ნაწილად ჩაითვალოს და მე ვთვლი, რომ ეს ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია კარატეს განვითარებისათვის". დაამატა ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

**მაია ვახტანგიშვილი**

**KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO**

## ჩემპიონატის შედეგები

### ინდივიდუალური კუმიტე (ვაჟები)

*საპრიზო ადგილები*

***8 წელი***
1. რომეო აქუბარდია - ზუგდიდი
2. ლაშა კვირაია - ფოთი
3. ლაშა ჯანგავაძე - თბილისი
4. ცოტნე ლიპარტელიანი - თბილისი

***9 წელი***
1. ჰენრი ვეკუა - ფოთი
2. კახა ხაბეიშვილი - ფოთი
3. ვლადიმერ ტრუბჩანინოვი - ფოთი
4. იაგო სორდია - ფოთი.

***10 წელი***
1. ვალერი უკანწყაროელი - გორი
2. სანდრო მაჭავარიანი - თბილისი
3. გიორგი კოპაძე - გორი
4. გიორგი თეთრაძე - თბილისი



***11 წელი***
1. გიორგი ბაბალაშვილი - თბილისი
2. ვანო გამდლიშვილი - თბილისი
3. გიორგი ქოჩორაშვილი - თბილისი
4. გივი სანიკიძე - ქუთაისი

***13 წელი***
1. ლევან გელდიაშვილი - თბილისი
2. დათო ტყებუჩავა - თბილისი
3. დათო გობეჯიშვილი - თბილისი
4. ზურა ბაკურაძე - ბათუმი

***12 წელი***

გურამ ქოიავა - თბილისი

ირაკლი ებრალიძე - ლანჩხუთი

ჭაბუკა გაგნიძე - თბილისი

ალეკო ჯავახიშვილი - კასპი

***14 წელი***
1. ალეკო ჟამურაშვილი - თბილისი
2. ლევან გორელაშვილი - თბილისი
3. სოსო გაბელია - ბათუმი
4. ოთარ უტარაშვილი - კასპი

***15 წელი***
1. თორნიკე ჩაჩანიძე - თბილისი
2. გიორგი ღოლობერიძე - ბათუმი
3. გიორგი დოლაბერიძე - თბილისი
4. გიორგი ბებიაშვილი - თბილისი

***16 წელი***
1. ბექა ხმალაძე
2. ჯუმბერ ჯოჯუა
3. ალეკო ჟამურაშვილი
4. ირაკლი ტყებუჩავა

***17 წელი***

ლევან ლომიძე

### ინდივიდუალური კუმიტე (გოგონები)

*საპრიზო ადგილები*

***8-10 წელი***
1. ნინო პატაშური - კასპი
2. თათია თურქია - ლანჩხუთი
3. ანა თავაძე - თბილისი
4. ლილი რობაქიძე - თბილისი

***11-13 წლები***
1. ქეთინო გოგბერაშვილი - თბილისი
2. ჟანა ჭუბაბრია - თბილისი
3. ნინო ჯოჯუა - თბილისი
4. ნათია სულამანიძე - ფოთი

***14-15 წლები***
1. მეგი ხორავა - თბილისი



2. ლოლიტა ზანგალაძე - თბილისი
3. ინგა ქანთარია - ზუგდიდი
4. მადონა გურგენიძე - ლანჩხუთი

***16-17 წლები***
1. სვეტა ფრუიძე - ზუგდიდი
2. ანა ძაძამია - ფოთი
3. კარენა კაზაზბაშიანი - თბილისი
4. ნინო ჯალაღონია - კასპი

**KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO*KARATE-DO**

# ტურნირის საინფორმაციო მხარდაჭერა: გაზეთი „ლელო", ქართულ-თურქული გაზეთი „ახალი აზროვნება", „საქართველოს რესპუბლიკა"


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道

## სტუდენტური სპორტი

ყურადღება!

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი". გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ. მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.

ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

*იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი" - გაახალგაზრდავდით!*


მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

## გერმანია

**ლევერკუზენი — მიუნხენი 4-0**
სებეშეკი (45), კირსტენი (49), ბასთურქი (61), კირსტენი (81).
**სტ. პაული — შტუტგარტი 1-2**
0-1 ბალაკოვი (78), 0-2 დანდი (80), 1-2 სენჩი (83).
**ჰერტა — ნიურნბერგი 2-0**
ალვესი (4, 32)
**ჰანზა — ჰამბურგი 1-1**
1-0 იაკობსონი (51), 1-1 ბარბარესი (66).
**ბაიერნი — კიოლნი 3-0**
ელბერი (64), სალიჰამიჯიჩი (83 პენ), ელბერი (88).
**შალკე — კაიზერი 3-0**
ვილმოტსი (45), მიოლერი (59), აგალი (81)
**ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი 0-1**
ვან ლენტი (79)
**დორტმუნდი — კოტბუსი 3-0**
ევერტონი (28), როსიცკი (36), რეინა (80).
**ვოლფსბურგი — ვერდერი 2-0**
კლიმოვიჩი (64), პეტროვი (78).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 28 | 18 | 5 | 5 | 67-31 | 59 |
| დორტმუნდი | 28 | 17 | 7 | 4 | 50-23 | 58 |
| ბაიერნი | 28 | 16 | 6 | 6 | 54-20 | 54 |
| შალკე | 28 | 16 | 6 | 6 | 46-27 | 54 |
| ჰერტა | 28 | 15 | 7 | 6 | 53-29 | 52 |
| კაიზერი | 28 | 15 | 4 | 9 | 50-41 | 49 |
| ვერდერი | 28 | 13 | 4 | 11 | 39-33 | 43 |
| მიუნხენი | 28 | 12 | 3 | 13 | 41-47 | 39 |
| შტუტგარტი | 28 | 10 | 8 | 10 | 33-33 | 38 |
| ვოლფსბურგი | 28 | 10 | 7 | 11 | 48-41 | 37 |
| ჰამბურგი | 28 | 9 | 8 | 11 | 40-46 | 35 |
| მიონხენგლ. | 28 | 8 | 9 | 11 | 30-40 | 33 |
| ჰანზა | 28 | 8 | 6 | 14 | 28-41 | 30 |
| კოტბუსი | 28 | 8 | 5 | 15 | 28-49 | 29 |
| ნიურნბერგი | 28 | 7 | 4 | 17 | 25-50 | 25 |
| ფრაიბურგი | 28 | 5 | 9 | 14 | 28-49 | 24 |
| სტ. პაული | 28 | 4 | 9 | 15 | 29-53 | 21 |
| კიოლნი | 28 | 4 | 7 | 17 | 17-53 | 19 |

*ბომბარდირები:*
15 — ამოროზო (დორტმუნდი)
14 — ბალაკი (ლევერკუზენი), ელბერი (ბაიერნი)
12 — კლოზე (კაიზერი), მარსელინიო (ჰერტა), პიზარო (ბაიერნი)
11 — აილტონი (ვერდერი), ვან ლენტი (მიონხენგლ.დ), მაქსი (მიუნხენი), ნოივილი (ლევერკუზენი)
10 — კირსტენი (ლევერკუზენი), მარიჩი (ვოლფსბურგი), პრეეცი (ჰერტა).

## იტალია

**პარმა — იუვენტუსი 1-0**
ლიამუში (88)
**ბოლონია — ლეჩე 4-3**
1-0 პეკია (12), 1-1 პოპესკუ (18), 1-2 პოპესკუ (36), 2-2 კრუზი (66), 2-3 ჩევანტონი (68), 3-3 სინიორი (72), 4-3 ფრეზი (82).
**ბრეშა — პერუჯა 3-0**
ტონი (10, 28, 44)
**კიევო — ვერონა 2-1**
0-1 მუტუ (13), 1-1 კოსატო (42), 2-1 კოსატო (72).
**ლაციო — უდინეზე 2-0**
სტანკოვიჩი (38), ფიორე (78)
**პიაჩენცა — მილანი 0-1**
სერჯინიო (20 პენ)
**ტორინო — ფიორენტინა 1-0**
სკარკილი (27)
**ვენეცია — ატალანტა 0-1**
როსინი (85)
**ინტერი — რომა 3-1**
1-0 რეკობა (2), 2-0 ვიერი (44), 2-1 ტოტი (56), 3-1 რეკობა (72).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 28 | 17 | 8 | 3 | 51-25 | 59 |
| რომა | 28 | 15 | 11 | 2 | 44-20 | 56 |
| იუვენტუსი | 28 | 15 | 10 | 3 | 50-22 | 55 |
| ბოლონია | 28 | 14 | 6 | 8 | 35-30 | 48 |
| კიევო | 28 | 12 | 9 | 7 | 47-39 | 45 |
| მილანი | 28 | 11 | 11 | 6 | 38-29 | 44 |
| ლაციო | 28 | 10 | 10 | 8 | 38-28 | 40 |
| ტორინო | 28 | 9 | 9 | 10 | 32-34 | 36 |
| პერუჯა | 28 | 10 | 6 | 12 | 30-38 | 36 |
| ატალანტა | 28 | 10 | 6 | 12 | 33-43 | 36 |
| ვერონა | 28 | 10 | 5 | 13 | 35-42 | 35 |
| პარმა | 28 | 9 | 7 | 12 | 34-38 | 34 |
| ბრეშა | 28 | 7 | 12 | 9 | 34-42 | 33 |
| პიაჩენცა | 28 | 8 | 8 | 12 | 39-37 | 32 |
| უდინეზე | 28 | 8 | 7 | 13 | 35-44 | 31 |
| ლეჩე | 28 | 5 | 9 | 14 | 30-45 | 24 |
| ფიორენტინა | 28 | 5 | 7 | 16 | 28-51 | 22 |
| ვენეცია | 28 | 3 | 7 | 18 | 25-51 | 16 |


პარმა — იუვენტუსი


დორტმუნდი — კოტბუსი

*ბომბარდირები:*
21 — ჰიუბნერი (პიაჩენცა)
19 — ვიერი (ინტერი)
18 — ტრეზეგე (იუვენტუსი)
16 — დი ვაიო (პარმა), დონი (ატალანტა)
15 — მანიერო (ვენეცია)
14 — მუცი (უდინეზე)
13 — შევჩენკო (მილანი

## ინგლისი

**ჩარლტონი — ბოლტონი 1-2**
0-1 ჯორკაეფი (15), 0-2 ჯორკაეფი (39), 1-2 ჯოჰანსონი (52)
**დერბი — ევერტონი 3-4**
0-1 ანსუორტი (38), 0-2 სტაბსი (52), 0-3 ალექსანდერსონი (54), 1-3 სტრუპარი (57), 1-4 ფერგიუსონი (71), 2-4 მორისი (76), 3-4 სტრუპარი (81).
**იფსვიჩი — ასტონ ვილა 0-0**
**ლესტერი — ლიდსი 0-2**
ვიდუკა (18), ფაულერი (31)
**მანჩესტერი — მიდლსბრო 0-1**
ბოქშიჩი (9)
**სანდერლენდი — საუთჰემპტონი 1-1**
1-0 მაკატირი (62), 1-1 ტესემი (88)
**ლივერპული — ჩელსი 1-0**
შმიცერი (90)
**ფულემი — ტოტენჰემი 0-2**
შერინგემი (28), პოიეტი (32).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 32 | 19 | 8 | 5 | 53-26 | 65 |
| მანჩესტერი | 32 | 20 | 4 | 8 | 78-41 | 64 |
| არსენალი | 30 | 18 | 9 | 3 | 60-32 | 63 |
| ნიუკასლი | 30 | 17 | 5 | 8 | 54-40 | 56 |
| ლიდსი | 31 | 14 | 12 | 5 | 44-30 | 54 |
| ჩელსი | 31 | 14 | 11 | 6 | 58-31 | 53 |
| ასტონ ვილა | 31 | 10 | 12 | 9 | 35-36 | 42 |
| ჩარლტონი | 31 | 10 | 11 | 10 | 35-36 | 41 |
| ტოტენჰემი | 31 | 12 | 5 | 14 | 41-45 | 41 |
| მიდლსბრო | 31 | 10 | 8 | 13 | 30-38 | 38 |
| საუთჰემპტ. | 31 | 10 | 7 | 14 | 38-46 | 37 |
| ვესტ ჰემი | 30 | 10 | 7 | 13 | 35-49 | 37 |
| ევერტონი | 31 | 9 | 9 | 13 | 33-39 | 36 |
| ფულემი | 31 | 8 | 11 | 12 | 30-38 | 35 |
| სანდერლ. | 31 | 9 | 8 | 14 | 24-38 | 35 |
| ბოლტონი | 31 | 7 | 12 | 12 | 34-48 | 33 |
| ბლეკბერნი | 30 | 8 | 8 | 14 | 39-41 | 32 |
| იფსვიჩი | 31 | 8 | 8 | 15 | 39-49 | 32 |
| დერბი | 31 | 8 | 5 | 18 | 29-51 | 29 |
| ლესტერი | 31 | 3 | 10 | 18 | 21-55 | 19 |

*ბომბარდირები:*
21 — ვან ნისტელროი (მანჩესტერი), ჰასელბანკი (ჩელსი)
20 — ანრი (არსენალი)
16 — შირერი (ნიუკასლი)
15 — ფაულერი (ლიდსი)
14 — ოუენი (ლივერპული)
13 — გუდიონსენი (ჩელსი), პახარი (საუთჰემპტონი), სოლსკიაერი (მანჩესტერი).

## ესპანეთი

**ბეტისი — სევილია 0-0**
**მალაგა — რაიო 0-0**
**ლას პალმასი — ვილიარეალი 3-2**
0-1 ვიქტორი (5 პენ), 1-1 იორგი (33), 2-1 სემვეისი (34), 2-2 ვერგარა (37), 3-2 ლაგო (79).
**ესპანიოლი — ალავესი 1-2**
1-0 დე ლუკასი (44), 1-1 ასტუდილიო (84), 1-2 ივან ალონსო (89)
**ბილბაო — სელტა 1-6**
0-1 კატანია (16), 0-2 ვაგნერი (19), 1-2 ურსაისი (40), 1-3 ლუქსენი (62), 1-4 კარპინი (75), 1-5 ჰესელი (80), 1-6 მორისი (85).
**რეალი — სარაგოსა 3-1**
1-0 იერო (14), 2-0 იერო (58 პენ.), 2-1 მილოშევიჩი (77), 3-1 იერო (78).
**ვალენსია — ოსასუნა 2-1**
1-0 სანჩესი (79), 1-1 მოისესი (85), 2-1 ბარახა (90)
**დეპორტივო — ტენერიფე 3-1**
0-1 ლუსენჰოფი (30), 1-1 სკალონი (74), 2-1 სკალონი (81), 3-1 მაკაი (85).
**მალიორკა — სოსიედადი 0-2**
კოვაჩევიჩი (49, 63)
**ვალიადოლიდი — ბარსელონა 1-2**
1-0 ლუის გარსია (9), 1-1 კლიუვერტი (11), 1-2 კოკუ (41).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 31 | 16 | 8 | 7 | 60-33 | 56 |
| ვალენსია | 31 | 15 | 11 | 5 | 38-25 | 56 |
| დეპორტივო | 31 | 16 | 6 | 9 | 48-36 | 54 |
| სელტა | 31 | 13 | 12 | 6 | 56-37 | 51 |
| ბეტისი | 31 | 13 | 12 | 6 | 35-26 | 51 |
| ბარსელონა | 31 | 14 | 8 | 9 | 51-30 | 50 |
| ბილბაო | 31 | 13 | 9 | 9 | 44-49 | 48 |
| ალავესი | 31 | 14 | 3 | 14 | 33-33 | 45 |
| მალაგა | 31 | 10 | 12 | 9 | 35-37 | 42 |
| ესპანიოლი | 31 | 11 | 8 | 12 | 38-44 | 41 |
| ვალიადოლ. | 31 | 11 | 7 | 13 | 36-50 | 40 |
| სევილია | 31 | 10 | 9 | 12 | 43-36 | 39 |
| სოსიედადი | 31 | 10 | 6 | 15 | 38-43 | 36 |
| ლას პალმასი | 31 | 9 | 9 | 13 | 34-40 | 36 |
| მალიორკა | 31 | 9 | 7 | 15 | 34-41 | 34 |
| ვილიარეალი | 31 | 8 | 10 | 13 | 34-41 | 34 |
| ოსასუნა | 31 | 8 | 10 | 13 | 29-41 | 34 |
| რაიო | 31 | 8 | 9 | 14 | 36-47 | 33 |
| სარაგოსა | 31 | 9 | 6 | 16 | 29-45 | 33 |
| ტენერიფე | 31 | 8 | 8 | 15 | 25-42 | 32 |

## საფრანგეთი

**გენგამი — პსჟ 0-1**
**ტრუა — ბორდო 2-0**
**სედანი — ლანსი 1-1**
**ნანტი — რენი 3-1**
**მეცი — სოშო 2-0**
**ლილი — ოსერი 2-3**
**ბასტია — მონპელიე 3-0**
**ლიონი — ლორიანი 2-0**
**მარსელი — მონაკო 1-1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 30 | 17 | 9 | 4 | 49-23 | 60 |
| ლიონი | 30 | 17 | 5 | 8 | 57-31 | 56 |
| პსჟ | 30 | 14 | 12 | 4 | 40-21 | 54 |
| ოსერი | 28 | 15 | 9 | 4 | 40-27 | 54 |
| ლილი | 30 | 14 | 9 | 7 | 37-27 | 51 |
| ბორდო | 30 | 13 | 8 | 9 | 30-25 | 47 |
| ტრუა | 30 | 12 | 6 | 12 | 37-34 | 42 |
| სოშო | 30 | 10 | 9 | 11 | 35-38 | 39 |
| მონაკო | 30 | 9 | 9 | 12 | 32-34 | 36 |
| ნანტი | 30 | 10 | 6 | 14 | 30-36 | 36 |
| ბასტია | 30 | 10 | 5 | 15 | 32-38 | 35 |
| მარსელი | 29 | 8 | 10 | 11 | 27-34 | 34 |
| სედანი | 28 | 7 | 12 | 9 | 28-30 | 33 |
| მონპელიე | 30 | 7 | 12 | 11 | 23-29 | 33 |
| რენი | 30 | 8 | 8 | 14 | 31-46 | 32 |
| გენგამი | 30 | 7 | 8 | 15 | 29-50 | 29 |
| მეცი | 29 | 8 | 4 | 17 | 23-38 | 28 |
| ლორიანი | 30 | 7 | 7 | 16 | 39-58 | 28 |

## პორტუგალია

**ჟილ ვისენტე — ბეირა მარი 2-1**
**გიმარაეში — ბენფიკა 1-4**
**სპორტინგი — სალგეიროში 2-0**
**ფარენსე — სეტუბალი 2-2**
**ბრაგა — ვარზიმი 2-0**
**სანტა კლარა — მარიტიმუ 0-0**
**ლეირია — პორტუ 1-1**
**ფერეირა — ბოავიშტა 0-1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 28 | 19 | 6 | 3 | 62-20 | 63 |
| ბოავიშტა | 28 | 19 | 5 | 4 | 45-14 | 62 |
| ბენფიკა | 28 | 15 | 9 | 4 | 56-31 | 54 |
| პორტუ | 28 | 15 | 5 | 8 | 47-29 | 50 |
| მარიტიმუ | 28 | 14 | 4 | 10 | 40-28 | 46 |
| ბელენენსეში | 27 | 13 | 5 | 9 | 41-36 | 44 |
| ლეირია | 28 | 11 | 9 | 8 | 41-30 | 42 |
| გიმარაეში | 28 | 10 | 8 | 10 | 29-29 | 38 |
| ბრაგა | 28 | 9 | 9 | 10 | 33-29 | 36 |
| ფერეირა | 28 | 9 | 9 | 10 | 36-38 | 36 |
| სტ. კლარა | 28 | 9 | 8 | 11 | 25-34 | 35 |
| ბეირა მარი | 28 | 8 | 7 | 13 | 41-49 | 31 |
| სეტუბალი | 28 | 7 | 9 | 12 | 32-36 | 30 |
| ჟილ ვისენტე | 28 | 8 | 6 | 14 | 30-46 | 30 |
| ვარზიმი | 28 | 6 | 7 | 15 | 22-48 | 25 |
| სალგეიროში | 28 | 6 | 6 | 16 | 22-59 | 24 |
| ალვერკა | 27 | 6 | 5 | 16 | 29-50 | 23 |
| ფარენსე | 28 | 5 | 7 | 16 | 22-47 | 22 |

## ჩეხეთი

**ბოჰემიანსი — ბანიკი 0-4**
**ოპავა — სიგმა 1-1**
**ბლშანი — იაბლონეცი 1-1**
**სინოტი — სლავია 1-3**
**პრჟიბრამი — პრ. კრალოვე 0-0**
**სპარტა — დრნოვიცე 3-0**
**ბრნო — ტეპლიცე 2-1**
**ლიბერეცი — ჟიჟკოვი 1-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 23 | 17 | 2 | 4 | 48-12 | 53 |
| ლიბერეცი | 23 | 15 | 6 | 2 | 41-17 | 51 |
| ჟიჟკოვი | 23 | 15 | 4 | 4 | 34-16 | 49 |
| ბოჰემიანსი | 23 | 12 | 6 | 5 | 34-23 | 42 |
| ბანიკი | 23 | 10 | 7 | 6 | 34-26 | 37 |
| ბრნო | 23 | 10 | 6 | 7 | 28-33 | 36 |
| სლავია | 23 | 9 | 8 | 6 | 37-28 | 35 |
| იაბლონეცი | 23 | 6 | 10 | 7 | 22-25 | 28 |
| სინოტი | 23 | 8 | 4 | 11 | 23-31 | 28 |
| პრჟიბრამი | 23 | 7 | 5 | 11 | 19-28 | 26 |
| პრ. კრალოვე | 23 | 7 | 5 | 11 | 23-36 | 26 |
| სიგმა | 23 | 5 | 9 | 9 | 20-28 | 24 |
| დრნოვიცე | 23 | 6 | 5 | 12 | 27-31 | 23 |
| ტეპლიცე | 23 | 6 | 5 | 12 | 24-34 | 23 |
| ბლშანი | 23 | 5 | 3 | 15 | 24-41 | 18 |
| ოპავა | 23 | 2 | 3 | 18 | 15-44 | 9 |

## პოლონეთი

**ამიცა — ვისლა 2-1**
**პოგონი — ოდრა 2-1**
**კატოვიცე — პოლონია 0-0**
**ლეგია — რუხი 2-1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 7 | 5 | 2 | 0 | 10-5 | 31 |
| ამიცა | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 25 |
| პოლონია | 7 | 3 | 2 | 2 | 8-7 | 24 |
| ვისლა | 7 | 3 | 1 | 3 | 10-9 | 24 |
| პოგონი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-5 | 21 |
| კატოვიცე | 7 | 3 | 2 | 2 | 6-8 | 20 |
| ოდრა | 7 | 1 | 0 | 6 | 4-12 | 19 |
| რუხი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-10 | 14 |

## შოტლანდია

**დანდი იუნ. — ჰიბერნიანი 1-2**
**დანფერმლაინი — დანდი 2-0**
**ჰართსი — სტ. ჯონსტონი 1-3**
**ლივინგსტონი — აბერდინი 0-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 33 | 29 | 3 | 1 | 78-15 | 90 |
| რეინჯერსი | 33 | 23 | 8 | 2 | 75-23 | 77 |
| აბერდინი | 33 | 15 | 6 | 12 | 46-43 | 51 |
| ლივინგსტონი | 33 | 13 | 10 | 10 | 40-35 | 49 |
| დანფერმლ. | 33 | 12 | 7 | 14 | 39-52 | 43 |
| ჰართსი | 33 | 12 | 6 | 15 | 44-46 | 42 |
| კილმარნოკი | 33 | 11 | 9 | 13 | 37-46 | 42 |
| დანდი | 33 | 10 | 7 | 16 | 35-50 | 37 |
| დანდი იუნ. | 33 | 9 | 8 | 16 | 32-56 | 35 |
| ჰიბერნიანი | 33 | 8 | 10 | 15 | 43-51 | 34 |
| მოზერუელი | 33 | 9 | 6 | 18 | 42-61 | 33 |
| სტ. ჯონსტ. | 33 | 5 | 4 | 24 | 23-56 | 19 |

## ჰოლანდია

**სიტარდი — ალკმაარი 0-1**
**დენ ბოსხი — ტილბურგი 1-2**
**ბრედა — ვიტესი 3-3**
**ჰერენვენი — ნაიმეგენი 4-0**
**პსვ — აიაქსი 1-1**
**სპარტა — ფეიენოორდი 0-5**
**გრააფსხაპი — უტრეხტი 0-0**
**ვალვაიკი — ტვენტე 3-1**
**გრონინგენი — როდა 0-2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 28 | 17 | 7 | 4 | 59 .28 | 58 |
| ფეიენოორდი | 27 | 17 | 4 | 6 | 62-22 | 55 |
| ჰერენვენი | 27 | 15 | 6 | 6 | 50-19 | 51 |
| პსვ | 27 | 15 | 6 | 6 | 58-28 | 51 |
| ვიტესი | 28 | 12 | 11 | 5 | 34-28 | 47 |
| ბრედა | 28 | 13 | 7 | 8 | 49-44 | 46 |
| უტრეხტი | 28 | 11 | 8 | 9 | 52-44 | 41 |
| ვალვაიკი | 28 | 12 | 5 | 11 | 39-34 | 41 |
| ტილბურგი | 28 | 9 | 10 | 9 | 45-47 | 37 |
| ალკმაარი | 28 | 10 | 5 | 13 | 33-38 | 35 |
| ნაიმეგენი | 28 | 10 | 5 | 13 | 28-47 | 35 |


პსვ — აიაქსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როდა | 28 | 9 | 5 | 14 | 28-42 | 32 |
| გრონინგენი | 28 | 9 | 5 | 14 | 33-50 | 32 |
| ტვენტე | 28 | 7 | 10 | 11 | 34-38 | 31 |
| დენ ბოსხი | 28 | 7 | 9 | 12 | 35-45 | 30 |
| გრააფსხაპი | 27 | 8 | 5 | 14 | 34-45 | 29 |
| სპარტა | 28 | 4 | 11 | 13 | 26-62 | 23 |
| სიტარდი | 28 | 2 | 7 | 19 | 22-60 | 13 |

## რუსეთი

**სპარტაკი — ლოკომოტივი 1-2**
**ურალანი — შინიკი 1-1**
**ალანია — როსტსელმაში 2-1**
**სატურნი — კრილია სოვეტოვი 3-1**
**ზენიტი — ტორპედო 2-2**
**ტორპედო ზილი — როტორი 0-2**
**სოკოლი — ანჟი 1-0**
**დინამო — ცსკა 1-2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 4 | 0 | 0 | 8-1 | 12 |
| ლოკომოტივი | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| სატურნი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| სპარტაკი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| ტორპედო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| როტორი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| კრილიასოვ. | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 4 |
| დინამო | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| როსტსელმ. | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| ანჟი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| ზენიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| შინიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| ტორპ.ზილი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-7 | 4 |
| ურალანი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-4 | 3 |
| სოკოლი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-4 | 3 |
| ალანია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |

## ბელგია

**ანდერლეხტი — სტანდარდი 0-0**
**გენკი — შარლერუა 3-2**
**ანტვერპენი — სტ. ტრუიდენი 4-1**
**ბევერენი — მუსკრონი 0-1**
**ლოკერენი — ვესტერლო 2-0**
**ლიერსი — ლომელი 6-3**
**ბრიუგე — გენტი 0-1**
**ლუვიე — მოლენბეკი 1-0**
**აალსტი — ბეერსხოტი 3-3**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 28 | 17 | 10 | 1 | 76-37 | 61 |
| ბრიუგე | 28 | 19 | 2 | 7 | 64-34 | 59 |
| ანდერლეხტი | 28 | 15 | 10 | 3 | 60-29 | 55 |
| მუსკრონი | 28 | 15 | 4 | 9 | 59-32 | 49 |
| სტანდარდი | 27 | 13 | 8 | 6 | 48-31 | 47 |
| გენტი | 28 | 13 | 8 | 7 | 48-41 | 47 |
| ლოკერენი | 28 | 13 | 7 | 8 | 37-29 | 46 |
| სტ. ტრუიდ. | 28 | 12 | 4 | 12 | 41-42 | 40 |
| ბეერსხოტი | 27 | 8 | 12 | 7 | 52-42 | 36 |
| მოლენბეკი | 28 | 10 | 4 | 14 | 37-47 | 34 |
| შარლერუა | 28 | 9 | 6 | 13 | 33-50 | 33 |
| ლუვიე | 28 | 8 | 8 | 12 | 33-50 | 32 |
| ლიერსი | 28 | 8 | 7 | 13 | 49-55 | 31 |
| ლომელი | 28 | 8 | 7 | 13 | 45-56 | 31 |
| ვესტერლო | 28 | 8 | 6 | 14 | 43-52 | 30 |
| ანტვერპენი | 28 | 6 | 8 | 14 | 39-55 | 26 |
| აალსტი | 28 | 4 | 7 | 17 | 24-61 | 19 |
| ბევერენი | 28 | 2 | 8 | 18 | 29-74 | 14 |

## თურქეთი

**ფენერბახჩე — გაზიანთეფი 4-1**
**სამსუნი — ქოჯაელი 0-0**
**იოზგათი — დიარბაქირი 2-0**
**დენიზლი — ტრაბზონი 2-1**
**გალათასარაი — ბურსა 2-1**
**ანთალია — გიოზთეფე 2-0**
**მალათია — გენჩლერბირ. 1-0**
**ანკარა — ისთანბული 4-2**
**რიზე — ბეშიქთაში 1-3**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 27 | 18 | 5 | 4 | 61-31 | 59 |
| ფენერბახჩე | 28 | 19 | 2 | 7 | 57-29 | 59 |
| ბეშიქთაში | 28 | 17 | 6 | 5 | 66-33 | 57 |
| ანკარა | 28 | 15 | 4 | 9 | 63-46 | 49 |
| ბურსა | 28 | 13 | 4 | 11 | 41-47 | 43 |
| ისთანბული | 28 | 11 | 6 | 11 | 28-30 | 39 |
| გაზიანთეფი | 28 | 10 | 7 | 11 | 45-44 | 37 |
| გენჩლერბირ. | 28 | 10 | 7 | 11 | 40-45 | 37 |
| დენიზლი | 28 | 9 | 9 | 10 | 50-43 | 36 |
| ტრაბზონი | 27 | 10 | 5 | 12 | 43-46 | 35 |
| გიოზთეფე | 28 | 9 | 8 | 11 | 29-44 | 35 |
| დიარბაქირი | 28 | 9 | 7 | 12 | 38-45 | 34 |
| მალათია | 28 | 10 | 4 | 14 | 30-45 | 34 |
| ქოჯაელი | 28 | 9 | 6 | 13 | 31-44 | 33 |
| რიზე | 28 | 7 | 10 | 11 | 35-41 | 31 |
| სამსუნი | 28 | 8 | 6 | 14 | 25-37 | 30 |
| ანთალია | 28 | 6 | 8 | 14 | 39-57 | 26 |
| იოზგათი | 28 | 6 | 6 | 16 | 40-54 | 24 |

## საბერძნეთი

**აეკ — პანაჰაიკი 4-1**
**ეთნიკოსი — პაოკი 1-3**
**პანიონიოსი — ეგალეო 0-0**
**ქსანთი — იონიკოსი 1-0**
**არისი — აკრატიტოსი 0-1**
**ირაკლისი — ოფი 1-1**
**პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 1-1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 21 | 15 | 1 | 5 | 48-21 | 46 |
| ოლიმპიაკოსი | 21 | 13 | 6 | 2 | 52-23 | 45 |
| პანათინაიკ. | 21 | 12 | 6 | 3 | 37-17 | 42 |
| პაოკი | 21 | 12 | 5 | 4 | 41-28 | 41 |
| ქსანთი | 21 | 10 | 6 | 5 | 30-19 | 36 |
| ირაკლისი | 21 | 7 | 8 | 6 | 26-27 | 29 |
| არისი | 21 | 7 | 7 | 7 | 22-22 | 28 |
| პანიონიოსი | 21 | 6 | 9 | 6 | 28-29 | 27 |
| ოფი | 21 | 7 | 6 | 8 | 24-26 | 27 |
| ეგალეო | 21 | 5 | 5 | 11 | 22-38 | 20 |
| აკრატიტოსი | 21 | 4 | 4 | 13 | 18-31 | 16 |
| იონიკოსი | 21 | 3 | 7 | 11 | 15-37 | 16 |
| ეთნიკოსი | 21 | 3 | 5 | 13 | 17-36 | 14 |
| პანაჰაიკი | 21 | 1 | 9 | 11 | 20-46 | 12 |

## ავსტრია

**ბრეგენცი — ადმირა 5-1**
**რიდი — კერნტენი 1-0**
**ტიროლი — ზალცბურგი 1-0**
**რაპიდი — გრაცერი 1-1**
**შტურმი — აუსტრია 1-2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 27 | 20 | 3 | 4 | 51-8 | 63 |
| შტურმი | 27 | 12 | 10 | 5 | 43-27 | 46 |
| გრაცერი | 27 | 12 | 9 | 6 | 51-33 | 45 |
| კერნტენი | 27 | 11 | 6 | 10 | 28-34 | 39 |
| ზალცბურგი | 27 | 10 | 7 | 10 | 27-28 | 37 |
| აუსტრია | 27 | 9 | 9 | 9 | 35-30 | 36 |
| რაპიდი | 27 | 8 | 7 | 12 | 24-32 | 31 |
| რიდი | 27 | 7 | 8 | 12 | 30-41 | 29 |
| ბრეგენცი | 27 | 7 | 8 | 12 | 36-56 | 29 |
| ადმირა | 27 | 3 | 5 | 19 | 17-53 | 14 |

## შვეიცარია

**სტ. გალენი — ლუგანო 0-0**
**სიონი — სერვეტი 2-3**
**იანგ ბოისი — ციურიხი 3-2**
**გრასჰოპერი — ბაზელი 1-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-3 | 34 |
| გრასჰოპერი | 6 | 3 | 2 | 1 | 12-5 | 30 |
| ლუგანო | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 29 |
| სერვეტი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-12 | 27 |
| იანგ ბოისი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-8 | 26 |
| სტ. გალენი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 24 |
| ციურიხი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-10 | 21 |
| სიონი | 6 | 0 | 0 | 6 | 4-19 | 17 |

გვერდი ამზადა
ვეფხვია ჯალაღონიამ



ნიუ ჯერსი — ატლანტა



მილუოკი — ორლანდო

# ნბა

**ბოსტონი დეტროიტი 101:109**
*ბოსტონი:* პირსი (35), უოკერი (28+11 მოხსნა), როჯერსი (14+9 მოხსნა)
*დეტროიტი:* სტეკჰაუზი (30+8 გადაცემა), რობინსონი (22), ატკინსი (17).
**ვაშინგტონი — ტორონტო 91:92**
*ვაშინგტონი:* ჰემილტონი (21), ჯორდანი (14), ვიტნერი (13)
*ტორონტო:* პიტერსონი (26), დევისი (17+9 მოხსნა), ვილიამსი (13).
**შარლოტი — ინდიანა 99:84**
*შარლოტი:* მეშბერნი (36), დევისი (21), ბრაუნი (10+19 მოხსნა)
*ინდიანა:* მილერი (24), ო'ნილი (23+11 მოხსნა), არტეხი (11).
**მილუოკი — ორლანდო 110:85**
*მილუოკი:* რობინსონი (25+10 მოხსნა), კასელი (21), რედი (20), ალენი (13)
*ორლანდო:* არმსტრონგი (17+6 გადაცემა), ვილიამსი (16+10 მოხსნა).
**ფილადელფია — ნიუ იორკი 90:82**
*ფილადელფია:* კოულმანი (18+10 მოხსნა), მუტომბო (16+7 მოხსნა), სნოუ (14+9 მოხსნა)
*ნიუ იორკი:* სპრიუელი (26), ჯექსონი (14), უეზერსპური (12+9 მოხსნა.
**ნიუ ჯერსი — ატლანტა 116:102**
*ნიუ ჯერსი:* ჯეფერსონი (22+9 მოხსნა), კიდი (22+15 გადაცემა), მარტინი (16+6 მოხსნა)
*ატლანტა:* აბდურ-რახიმი (30), ტერი (17), კუკოჩი (13), მოჰამედი (12+10 მოხსნა).
**საკრამენტო — ლეიკერსი 96:97**
*საკრამენტო:* უებერი (24+5 გადაცემა), თურქოგლუ (17), ბიბი (14), დივაცი (11+17 მოხსნა)
*ლეიკერსი:* ბრაიანტი (29+7 მოხსნა), ო'ნილი (21+7 მოხსნა), ფიშერი (16+4 გადაცემა).
**გოლ. სტეიტი — ჰიუსტონი 104:116**
*გოლ. სტეიტი:* სურა (19), ჯემისონი (17+7 მოხსნა), არენასი (16), რიჩარდსონი (14)
*ჰიუსტონი:* ტომასი (31), ფრენსისი (24+8 მოხსნა+8 გადაცემა), სატო (11+12 მოხსნა).

## აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 45 | 25 | 64,3 |
| ბოსტონი | 39 | 31 | 55,7 |
| ორლანდო | 37 | 32 | 53,6 |
| ფილადელფია | 37 | 32 | 53,6 |
| ვაშინგტონი | 32 | 38 | 45,7 |
| მაიამი | 31 | 37 | 45,6 |
| ნიუ იორკი | 26 | 42 | 38,2 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 41 | 28 | 59,4 |
| მილუოკი | 37 | 31 | 54,4 |
| შარლოტი | 36 | 33 | 52,2 |
| ინდიანა | 35 | 34 | 50,7 |
| ტორონტო | 32 | 38 | 45,7 |
| ატლანტა | 28 | 41 | 40,6 |
| კლივლენდი | 25 | 44 | 36,2 |
| ჩიკაგო | 17 | 53 | 24,3 |

## დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 48 | 21 | 69,6 |
| დალასი | 48 | 21 | 69,6 |
| მინესოტა | 42 | 27 | 60,9 |
| იუტა | 38 | 31 | 55,1 |
| ჰიუსტონი | 26 | 43 | 37,7 |
| დენვერი | 20 | 47 | 29,9 |
| მემფისი | 17 | 52 | 24,6 |

პასიფიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 49 | 19 | 72,1 |
| ლეიკერსი | 49 | 20 | 71,0 |
| პორტლენდი | 43 | 26 | 62,3 |
| სიეტლი | 39 | 31 | 55,7 |
| კლიპერსი | 36 | 34 | 51,4 |
| ფინიქსი | 31 | 38 | 44,9 |
| გოლ. სტეიტი | 17 | 52 | 24,6 |

# სლუცკაია ბრწყინვალეა!



ირინა სლუცკაია

ნაგანოში, ფიგურული სრიალის მსოფლიო ვარსკვლავმა, რუსეთელმა ირინა სლუცკაიამ თავის მუდმივ მეტოქეს, ამერიკელ მიშელ კვანს აჯობა თავისუფალ პროგრამაში და მსოფლიოში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა. საგულისხმოა, რომ ქალთა ასპარეზობას ერთეულთა თანრიგში ახლა ისევე უამრავი მაყურებელი ესწრება, როგორც ვაჟთა შეჯიბრებას, რაც იმან განაპირობა, რომ ბოლო სამ წელიწადში არნახულად გაიზარდა ინტრიგა ქალთა შორის. ბოლო ერთ წელიწადში კი აშკარად გამოიკვეთა სლუცკაიას ოსტატობა და იგი ამერიკელის ღირსეულ მეტოქედ იქცა, ამჯერად მსაჯებმა, მართალია, ვერ გარისკეს მისთვის მიეცათ უმაღლესი შეფასება, მაგრამ 5,9 ქულა მაინც შთამბეჭდავი იყო არტისტიზმში.

# მოსკოვში „ფორმულა-1“-ის ეტაპის ჩატარებაზე ითათბირეს



იური ლუჟკოვისა და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ბერნარდ ეკლსტოუნს შორის გამართულ მოსკოვურ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რუსეთის დედაქალაქი 2004 წელს უმასპინძლებს „ფორმულა-1“-ის ერთ-ერთ ეტაპს. ამ შეხვედრაზე მეტს ვერაფერს მიაღწიეს.

ლუჟკოვის თქმით, რუსეთში „ფორმულა-1“-ის ერთ-ერთი ეტაპის ჩატარების შესახებ კონტრაქტს უახლოეს ხანში მოეწერება ხელი.

# ფორმულა-1 სიახლეები ავარიებს შეამცირებს

ბრაზილიის გრან-პრი, რომელიც გაიმართება ამ კვირაში, ახალი წესის წნეხით ჩაივლის. ეს წესი კი მარტივია — ორგანიზატორებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება იმ მრბოლთა დანაშაულის ხარისხის განსაზღვრაში, რომელთა მოქმედებამ გამოიწვია ავარია ან სხვა ინციდენტი რბოლისას. საერთაშორისო ფედერაცია კი მოხსენების საფუძველზე გამოიტანს განაჩენს. სასჯელით შესაძლებელია დამნაშავემ 10 პოზიციით უკან გადაიწიოს მომავალ გრან-პრის სასტარტო განრიგში. განმარტებისთვის ორგანიზატორებს მოჰყავთ ასეთი მაგალითი: სეზონის პირველ რბოლაში, მელბურნში მიხაელ შუმახერმა ბრწყინვალე სტარტი აიღო, გადაუსწრო თავის ძმას და შეეცადა გასცლოდა ბარიკელოს. ბრაზილიელს არ სურდა წინ გაეშვა მეტოქე, რის შედეგად გერმანიის „უილიამსი“ შეეჯახა ბარიკელოს „ფერარს“. შუმახერი თავისი მანქანით ავარდა ჰაერში და დაენარცხა დამცავ წინაღობას. მაშინ ფია-მ არ გამოავლინა დამნაშავე. რადგან მოერიდა „ფერარის“ განაწყენებას, რომელიც ბოლო ორი წელიწადია უძლიერესად ითვლება.

ახალი წესი ფია-ს საბჭომ მიიღო წლეულს, პარიზში, 21 მარტს. ფია-ს ადრეც ჰქონდა განზრახული შემოეღო ეს წესი, მაგრამ თავს იკავებდა. ახლა კი, როცა ბარიკელოსა და მიხაელ შუმახერის ინციდენტი ასე გახმაურდა, იძულებული გახდა დაეთმო.

კიდევ ერთი ცვლილება — თუ მანქანა, მას შემდეგ, რაც ჩაქრება სასტარტო შუქი, ადგილიდან არ დაიძრა, შეფერხების აღმოსაფხვრელად დადგინდა 30 წამი. თუ ამ დროში მანქანა არ ამუშავდა, სტარტიდან იხსნება. სიახლეების მიზანია რბოლისას უბედური შემთხვევების თავიდან აცილება.

# იან ტორპი სარეკლამო აგენტი ხდება?

ავსტრალიელი მოცურავე იან ტორპი ახალმა საქმიანობამ გაიტაცა. უახლოეს ხანში ეს საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენი, შესაძლოა, მოგვევლინოს... სარეკლამო აგენტის როლში. ის გაემგზავრება იაპონიაში და თავის სამშობლოში ჩამსვლელთა მსურველებს დიდ პროპაგანდას გაუწევს. ავსტრალიის ტურისტულმა კომპანიამ არჩევანი ტყუილად როდი შეაჩერა მოცურავეზე — იან ტორპი დიდი პოპულარობით სარგებლობს ამომავალი მზის ქვეყანაში, — ის დღემდე ახსოვთ ქალაქ ფუკუოკში გამართული მსოფლიო ჩემპიონატიდან, როცა მან სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.



ტორპი

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები





**26 მარტი, სამშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (22.10), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (20.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00), *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროგოლები (12.00, 17.00), ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), „ფორმულა-1“ (21.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (22.30, 23.30), *НТВ плюс футбол.* განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (14.10, 17.15, 19.50, 0.30), ლიბერტადორესის თასის მიმოხილვა (19.20), ინგლისის (22.05), ესპანეთის (23.30) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. *НТВ плюс спорт.* კალათბურთი. ევროლიგა (18.15), ფრენბურთი. ევროლიგა (18.45), ბილიარდის მეფეები (20.30)

**27 მარტი, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (10.35), ფეხბურთი. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: საქართველო – სამხრეთ აფრიკა (რეპორტაჟი თბ. „ლოკომოტივის სტადიონიდან 18.55). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (15.15, 20.00), *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროგოლები (13.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), „ფორმულა-1“. რეპორტაჟი კულისებს მიღმა (16.00), ფეხბურთი: საუკუნის მატჩები (23.15), 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გზით. ამხანაგური მატჩები (2.15). *НТВ плюс футбол.* ინგლისის (13.15), ლიბერტადორესის თასის მატჩების (16.00), ესპანეთის (19.15), იტალიის (22.35), გერმანიის (1.25) ჩემპიონატების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (17.15, 23.25)

**28 მარტი, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45). *EUROSPORT.* ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (14.30, 15.30, 22.30, 23.30, 1.45, 2.45), მ/ჩ. 2002-ის გზები. ამხანაგური მატჩები (16.30, 21.00), „ფორმულა-1“. რეპორტაჟი კულისებს მიღმა (3.45). *НТВ плюс футбол.* ლიბერტადორესის თასი (13.15, 21.25), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (15.00, 19.40), იტალიის (16.45), „ფეხბურთი მუნდიალის“ (23.40), ინგლისის (0.10), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალის (1.05) ჩემპიონატები და მიმოხილვა. *НТВ плюс спорт.* კალათბურთი: ევროლიგა (22.25), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (21.30).

# კროსვორდი № 23



**თარაზულად:** ვეტერანი ლეგენდარული უნგრელი მოკრივე, 6. ასპარეზობა, რომელიც ავლენს ჩემპიონს, 8. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 10. რუმინეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 11. გადაწყდება, ანუ... 13. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 14 ინგლისელი ფეხბურთელი ლე... 15. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 17. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 19. „რომას“ ბრაზილიელი ლეგიონერი, 20. „ლივერპულის“ ფინელი ლეგიონერი, 21. ხარისხით უმაღლესი საჭადრაკო ფიგურა, 24. ასპარეზობის დასასრული, 25. ლეგენდარული რუსი ფეხბურთელი — მეკარე.

**შვეულად:** „არსენალის“ ფრანგი ლეგიონერი, 3. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელის სახელი, 4. ქართველი სპორტული კომენტატორის სახელი, 5. შვედი მოჭადრაკე ქალის სახელი, 7. „ბარსელონას“ ცნობილი ფეხბურთელი — მცველი, 9. გერმანელი ვეტერანი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, 11. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 12. „ბოკა ხუნიორსის“ ფეხბურთელი, 13. მძლეოსნური იარაღი, 16. წარსულში ცნობილი ბალტიისპირელი ძალოსანი, 18. მშვილდით სატყორცნი, 22. ამერიკელი ვეტერანი ვაქი ჩოგბურთელი, 23 ფრანგი ფეხბურთელი.

**კროსვორდი №22. პასუხები**

**თარაზულად:** 2. ღელობურთი, 7. „არაუ“, 9. ძურილა, 10. ნოდია, 11. ულიე, 12. სენა, 13. რალი, 15. „ჩელსი“, 16. სო, 18. სამბო, 20. ფაიტონი, 21. უზანგი. **შვეულად:** 1. „ბრნო“, 3. ელო, 4. ორძელი, 5. „რეინჯერსი“, 6. იტალია, 8. უნივერსიადა, 10. „ნიუკასლი“, 14. სერჟიო, 17. ძოფი, 19. ონო.

# საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე (ზესტაფონი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. კg6! მუქარა 2. კ:f7X.
1. ...fg 2. ლe6X. 1. ...ეe4 2. კ:e4X.
1. ...მd6 2. ლc5X. 1. ...მd4 2. კe4X.
1. ...კc6+ 2. ლ:c6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩირილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com